ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თეონა გასვიანი

რუსეთ - თურქეთის ორმხრივი ურთიერთობები: თანამშრომლობა წინააღმდეგობის პირობებში

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დილომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ეკა აკობია

ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თბილისი, 2017

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი *„რუსეთ - თურეთის ორმხრივი ურთიერთობები: თანამშრომლობა წინააღმდეგობის პირობებში“* შეისწავლის თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დინამიკას 2008 – 2016 წლების პერიოდში. ცდილობს გამოავლინოს ის ფაქტორები, რომლებმაც მათ შორის არსებული წინააღმდეგობებისა და ინტერესთა შეუთავსებლობის მიუხედავად, ხელი შეუწყო თანამშრომლობას პოლიტიკურ სფეროში.

ნაშრომში საკვლევ კითხვად დასმულია შემდეგი: რამ განაპირობა 2008- 2016 წლებში მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გადალახვა და თურქეთის მიერ რუსეთთან ურთიერთობების განახლება? ჰიპოთეზად წარმოდგენილია მოსაზრება, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ხელს უწყობს მათ შორის არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობების გადალახვას. შესაბამისად, დამოუკიდებელი ცვლადია რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, რომელიც გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე- ორი ქვეყნის პოლიტიკურ თანამშრომლობაზე.

ნაშრომში ჰიპოთეზის გასამყარებლად განხილულია 2008 წლის საქართველო -რუსეთის ომისა და 2014 წელს ყირიმის ანექსიის გავლენა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებზე და 2015 წელს თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებით გამოწვეული უთანხმოება. შესაბამისად, კვლევის ამოცანაა, აჩვენოს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ქვეყნებს შორის არსებობდა უთანხმოების მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომელთა დაძლევასაც ხელი შეუწყო მოსკოვსა და ანკარას შორის არსებულმა ეკონომიკურმა ურთიერთდამოკიდებულებამ.

ამდენად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს წვლილი შეიტანოს სახელმწიფოთა თანამშრომლობის და მათ შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის ხელისშემწყობი ფაქტორების კვლევაში. ამავე დროს, ცდილობს კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია მოარგოს ახალ რეალობას და მისი გამოყენებით ახსნას რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობები.

ნაშრომში დასმული საკითხი აქტუალურია, რამდენადაც თურქეთიცა და რუსეთიც მნიშვნელოვანი აქტორები არიან საერთაშორისო არენაზე და მათ შორის ურთიერთობებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია სხვა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე. გარდა ამისა, რამდენადაც თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად მსოფლიო სულ უფრო კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ხდება, დიდ ყურადღებას იქცევს რამდენად არის შესაძლებელი ასეთ პირობებში კონფლიქტების თავიდან არიდება და სახელმწიფოთა თანამშრომლობა. შესაბამისად, ის ფაქტიც, რომ ნაშრომი შეისწავლის თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მათ პოლიტიკურ ურთიერთობებზე და დაპირისპირებების შემთხვევაში, რამდენად უწყობს ხელს წინააღმდეგობების მშვიდობიანად გადალახვას, ნაშრომის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

Turkish - Russian bilateral relations:

Cooperation in the environment of contradictions

T. Gasviani

Abstract

The present research paper explores the dynamic of relations between Turkey and Russia during the period of 2008 to 2016. It attempts to identify the factors that have contributed to the cooperation in the political sphere despite the existing contradictions and incompatibility of interests.

The study raises the following main research question: what has led to overcome the existing obstacles and renewing relations between Turkey and Russia during the 2008 – 2016 years? The paper testifies following hypothesis that the close economic ties between Russia and Turkey contributes to overcome the existing political contradictions. Therefore, the independent variable is the closer economic relations between Russia and Turkey that affect the dependent variable - political cooperation between the two countries. In support of the hypothesis, the study deals with the impact of Georgia-Russia war in 2008 and Crimea annexation in 2014 on the relations between Russia and Turkey and discusses the disagreement caused by Turkey's downing of Russian warplane in 2015.

Hence, the present work aims to contribute the research of the favorable factors that provides to enhance cooperation and overcome existing obstacles between states. At the same time, it attempts to adapt a Theory of Complex Interdependence to the new reality and use it for the explaining the relations between Russia and Turkey.

The research issue raised in the paper is relevant as Turkey and Russia are important actors of the international arena and relations between them can have a significant influence on other states. Besides, as a result of the process of globalization, world became increasingly interconnected; there is a lot of concerns to how much it is promising to avoid conflicts in these conditions.

სარჩევი

1. შესავალი 6

1.1 კვლევის მეთოდოლოგია 8

2. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო 11

2.1 ლიტერატურის მიმოხილვა 11

2.2 კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია 16

3. რუსეთსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ისტორია 21

3.1 რუსეთისა და თურქეთის ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 21

3.2 ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება 24

4. 2008- 2016 წლების პერიოდში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განხილვა 27

4.1 2008 წლის აგვისტოს ომის გავლენა თურქეთ - რუსეთის ურთიერთობებზე 27

4.2 რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია 31

4.3 2015 წელს რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება და მისი შედეგები 33

5. თურქეთ - რუსეთის ურთიერთობები, როგორც 39

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითი 39

6. დასკვნა 43

7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 45

1. შესავალი

რუსეთსა და თურქეთს შორის ორმხრივი ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეიცვალა ცივი ომის დასრულების შემდეგ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროებში, განსაკუთრებით კი 2000-იან წლებში მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტი გახდა ვლადიმერ პუტინი, ხოლო თურქეთში ძალაუფლება გადავიდა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელში. საწყის ეტაპზე ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ურთიერთუნდობლობა დომინირებდა, რამდენადაც თურქეთი ერთი მხრივ ცდილობდა აშშ-სა და ევროპასთან მჭიდრო თანამშრომლობას, მეორეს მხრივ კი რუსეთის გავლენის სფეროში შეჭრას (Kuhn, Mosler and Richter, 2010, გვ. 6).

ცივი ომის დამთავრებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ ახალი სტრატეგიული რეალობა შექმნა თურქეთისა და მისი დასავლელი მოკავშირეებისათვის. რუსეთი გამოვიდა მსოფლიო არენაზე, როგორც ახალი მოთამაშე და საბჭოთა კავშირის მემკვიდრე. რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც გავლენას ახდენს რეგიონულ ძალთა ბალანსზე (Arafat, 2011, გვ. 103). უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ურთიერთობები წინააღმდეგობრივია, ხშირად იჩენს თავს დაძაბულობა და მეტოქეობა, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ცენტრალური აზია, კავკასიისა და კასპიის რეგიონიდან ენერგო რესურსების მიწოდება მსოფლიო ბაზრებისათვის, ხოლო ბოლო პერიოდში სირიაში მიმდინარე პროცესები. თუმცა, მიუხედავად კრიზისებისა, მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობები რუსეთსა და თურქეთს შორის მაინც სახეზეა (Arafat, 2011, გვ. 104).

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში უსაფრთხოება და ეკონომიკური საკითხები მნიშვნელოვანი იყო. ისინი მოწინააღმდეგეები იყვნენ ცივი ომის პერიოდში. საბჭოთა კავშირი თურქეთისათვის მთავარი საფრთხე იყო, რუსეთიც, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე თურქეთის უსაფრთხოებისათვის საშიშროებად აღიქმებოდა, რასაც ამძაფრებდა რუსეთის აგრესიული ქმედებები ჩეჩნეთში და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების საშინაო საქმეებში ჩარევა. ორივე ქვეყანა რეგიონული გავლენის მოპოვებას ცდილობდა, თუმცა თანამშრომლობის პოტენციალიც გაჩნდა ისეთ სფეროში, როგორიც იყო ენერგია, რისი საფუძველიც ჯერ კიდევ 1984 წელს შეიქმნა

შეთანხმებით თურქეთისათვის რუსული ბუნებრივი აირის მიყიდვის შესახებ. შეთანხმება ძალაში 1987 წელს შევიდა და რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველი შექმნა (Arafat, 2011, გვ. 7).

2000-იანი წლებიდან რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები თანდათან განვითარდა. 2014 წლის 1 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი თურქეთში იმყოფებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ანკარა დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდა, რუსეთისა და თურქეთის ალიანსის შექმნაზე საუბრობდნენ, ამიტომ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება მოულოდნელი იყო და მათ ურთიერთობებში კრიზისის მიზეზად განიხილებოდა. ძლიერი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, ორ ქვეყანას მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკურ ინტერესთა კონფლიქი ჰქონდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა საქართველო, უკრაინა და სირია. ამ უკანასკნელში 2015 წლის 1 სექტემბრიდან რუსეთმა სამხედრო ინტერვენცია დაიწყო (Akturk, 2016, გვ. 2).

მოცემული ნაშრომის მიზანია იკვლიოს თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები 2008- 2016 წლის პერიოდში და მათ შორის არსებული ინტერესთა შეუთავსებლობის მიუხედავად, თანამშრომლობის ხელისშემწყობი ფაქტორები. სვამს შემდეგ საკვლევ კითხვას:

რამ განაპირობა 2008- 2016 წლებში მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გადალახვა და თურქეთის მიერ რუსეთთან ურთიერთობების განახლება?

ნაშრომში სამუშაო ჰიპოთეზად წარმოდგენილია შემდეგი: *რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ხელს უწყობს მათ შორის არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობების გადალახვას.*

ამდენად, დამოუკიდებელი ცვლადია რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობები, დამოკიდებელი ცვლადი კი- ორი ქვეყნის პოლიტიკური თანამშრომლობა. ეკონომიკური ურთიერთობები გულისხმობს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ აქტივობებს, რაც მოიცავს ვაჭრობას და სხვა ფორმის ქმედებებსაც (www.dictionarycentral.com). ასევე, ეკონომიკური ურთიერთობები

განმარტებულია, როგორც საერთაშორისო ვაჭრობაში, ფინანსებსა და ინვესტიციებში თანამშრომლობა ინდივიდუალურად სახელმწიფოებს შორის, ან სახელმწიფოთა ჯგუფს შორის (www.financepractitioner.com). მოცემულ ნაშრომში, რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები განხილულია სამი მიმართულებით: ვაჭრობა, ტურიზმი და ენერგო რესურსები. ნაშრომში ჰიპოთეზის გასამყარებლად განხილული იქნება 2008 წლის საქართველო-რუსეთს შორის ომისა და 2014 წელს ყირიმის ანექსიის გავლენა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებზე და 2015 წელს თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებით გამოწვეული უთანხმოება.

საკითხი აქტუალურია, რამდენადაც რუსეთიცა და თურქეთიც მნიშვნელოვანი აქტორები არიან საერთაშორისო არენაზე, თურქეთი ნატოს წევრი სახელმწიფოა და მათ შორის ურთიერთობებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსზე და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაზე. გარდა ამისა, ის ფაქტიც, რომ ნაშრომი შეისწავლის თუ რა გავლენას ახდენს სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მათ პოლიტიკურ ურთიერთობებზე და უთანხმოების შემთხვევაში, რამდენად უწყობს ხელს წინააღმდეგობების მშვიდობიანად გადალახვას, ნაშრომის მნიშვნელობას გამოკვეთს, რამდენადაც თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად მსოფლიო სულ უფრო კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებული ხდება და შესაბამისად, დიდ ყურადღებას იქცევს რამდენად არის შესაძლებელი ასეთ პირობებში კონფლიქტების თავიდან არიდება და სახელმწიფოთა თანამშრომლობა.

1.1 კვლევის მეთოდოლოგია

მოცემულ ნაშრომში ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებულია მონოგრაფიული გამოკვლევის მეთოდი, ე.წ. შემთხვევის შესწავლა. „მონოგრაფიული გამოკვლევა ცალკეული შემთხვევის, თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული და

ყოველმხრივი შესწავლაა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალების მეშვეობით“ (ზურაბიშვილი 2006, 61).

მონოგრაფიული გამოკვლევის უპირატესობად ითვლება არსებული პრობლემის მრავალმხრივ და სიღრმისეულად შესწავლა. ინფორმაციის შეგროვების პროცესში მკვლევარი სხვადასხვა ურთიერთშემავსებელ მეთოდიკას იყენებს. ეს შეიძლება იყოს დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი, საარქივო საბუთების შესწავლა, ფოტოსურათები და სხვა (ზურაბიშვილი 2006, 62). მის ფარგლებში რაოდენობრივი მეთოდებიც გამოიყენება. „თანამედროვე მკვლევრები სულ უფრო და უფრო ხშირად თვლიან, რომ ამ მეთოდს სავსებით შესწევს ძალა, არა მარტო აღწეროს, არამედ, აგრეთვე ახსნას ესა თუ ის სოციალური სიტუაცია“ (ზურაბიშვილი 2006, 64).

ნაშრომი შეისწავლის რუსეთსა და თურქეთს შორის ორმხრივი ურთიერთობების დინამიკას 2008- 2016 წლების პერიოდში და განიხილავს იმ მიზეზებს, თუ რა უწყობდა ხელს მათ შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევას. 2008 წლის საქართველოს-რუსეთის ომის, 2014 წელს ყირიმის ანექსიისა და 2015 წელს რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებით გამოწვეული უთანხმოებების ქეისი გამოყენებულია იმის საჩვენებლად, თუ რა გავლენა იქონია ეკონომიკურმა ფაქტორმა თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენასა და შენარჩუნებაზე.

მოცემული კვლევა ანალიტიკური გამოკვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო პრობლემის აღწერას, არამედ, მისი მამოძრავებელი ძალებისა და მიზეზების გამოაშკარავებას. ასევე ჯდება აღწერითი გამოკვლევის ფარგლებშიც, რომელიც „ტარდება ამა თუ იმ სოციალური პრობლემის შემლებისდაგვარად სრული აღწერის მიზნით, ხშირად- რათა გამოვლენილ იქნეს, არსებობს თუ არა კავშირი ამ პრობლემის შემადგენელ ელემენტებს შორის“ (ზურაბიშვილი 2006, 100). ნაშრომი ცდილობს კავშირის დადგენას სახელმწიფოთა ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასა და პოლიტიკური ურთიერთობების ნორმალიზებას შორის უთანხმოებების პირობებში.

მოცემული კვლევა წარმოადგენს დისციპლინის მაინტერპრეტირებელი შემთხვევის შესწავლას, რომელიც გულისხმობს მოვლენის ახსნას ან ინტერპრეტირებას უკვე

ცნობილი თეორიის დაკავშრებით ახალ რეალობასთან. რაც უფრო ზუსტი და სისტემატურია თეორიული კონცეფცია, მით უფრო ძლიერია განაცხადიც. „მიუხედავად იმისა, რომ მეთოდი შესაძლოა არ ახდენდეს თეორიის ტესტირებას, შემთხვევის შესწავლა გვიჩვენებს, ერთი ან მეტი ცნობილი თეორია შეიძლება გამოვიყენოთ ახალი მოვლენისათვის პასუხის გასაცემად“ (Odell 2001, 163). ნაშრომში დისციპლინის მაინტერპრეტირებელი შემთხვევის შესწავლის გამოყენება რელევანტურია, რამდენადაც რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობების ახსნა ხდება უკვე ცნობილი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის საფუძველზე.

კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულია დისკურსის ანალიზის მეთოდი, რათა უფრო სანდო იყოს მიღებული შედეგი და სწორად ასახავდეს არსებულ რეალობას. დისკურსის ანალიზი გულისხმობს ენაზე დაკვირვებას, თუმცა ტერმინი „მოიცავს ბევრ სხვადასხვა მეთოდს ადამინთა კომუნიკაციაზე დასაკვირვებლად, რაც გვხვდება სოციალურ მეცნიერებებში“ (Gillen and Petersen 2005, 146) დისკურსის ანალიზი იკვლევს სოციალურად წარმოშობილ იდეებსა და საგნებს, არის თვისობრივი, განმარტებითი და კონსტრუქტივისტული (Lennox 2009, 2).

დისკურსის ანალიზის მიზანია ენის, მეტყველების, სიტყვების შესწავლა და მათი მიხედვით განზრახვების დადგენა. მოცემულ კვლევაში დისკურსის ანალიზის ფარგლებში განხილული იქნება თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების, ასევე, სხვა ოფიციალური პირების განცხადებები, რომელბიც მიუთითებენ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებების მიზეზებზე.

კვლევისა და მონაცემთა შეგროვების პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა წყარო, რომელიც მოიცავს აკადემიურ ჟურნალებს, წიგნებს, საგაზეთო არქივებს, რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენელი ოფიციალური პირების განცხადებებს, ექსპერტთა მოსაზრებებსა და არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს. გარდა ამისა, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მასალა ინტერნეტ გვერდებიდან, გამოცემებიდან, კვლევითი ცენტრების მონაცემებიდან.

2. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

2.1 ლიტერატურის მიმოხილვა

რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული ურთიერთობების უკეთ გასაგებად და თანამშრომლობისა თუ უთანხმოების მიზეზების იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა მკვლევარისა ხედვისა და მოსაზრებების გაანალიზება აღნიშნული საკითხის მიმართ, რაც საკვლევი ჰიპოთეზის დამტკიცებაში ან უარყოფაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ქვემოთ მიმოხილული იქნება რამოდენიმე ძირითადი ნაშრომი, ექსპერტთა და მკვლევართა შეფასება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ერთ-ერთი საინტერესო სტატია ეკუთვნის მუჰამედ არაფატს (2011), რომელიც ცდილობს იკვლიოს რუსეთისა და თურქეთის ორმხრივი ურთიერთობები პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ეკონომიკურ სფეროებში 2000-2009 წლებში, როდესაც მათ შორის ურთიერთობები განსაკუთრებით გაიზარდა. ავტორი რამდენიმე ფაქტორს გამოყოფს, რომლებმაც გავლენა იქონიეს ურთიერთობების დაახლოებაზე და ყურადღებას ამახვილებს შიდა ფაქტორზე, კერძოდ, ორ ქვეყანაში პოლიტიკური სისტემების ცვლილებაზე და მოქნილი საგარეო პოლიტიკის გატარების სურვილზე. არაფატი მიუთითებს, რომ ოფიციალური პირების ვიზიტებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების სტრატეგიულ პარტნიორობად გარდაქმნაში.

ავტორი გამოყოფს სამ ძირითად ფაქტორს: 1. რუსეთსა და თურქეთს შორის პოლოტიკური ურთიერთობების განვითარებამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დიალოგის გაღრმავებას შეუწყო ხელი და ახლო თანამშრომლობის მოლოდინიც გაამძაფრა სხვადასხვა სფეროსა და რეგიონში, მათ შორის, შავი ზღვის, კავკასიის, ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. 2. თურქეთის პრეზეიდენტ აბდულა გიულის ვიზიტმა მოსკოვში, რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების საფუძველი გააძლიერა, რისი ნიშანიც იყო ერთობლივი დეკლარაციის შეთანხმება. 3. ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ითამაშა განსაკუთრებული როლი თურქეთსა და

რუსეთს შორის სხვა სფეროებში ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში. ეკონომიკურ ურთიერთობებში კვლევის მიხედვით, იგულისხმება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა, ტურიზმი (რუსი ტურისტების მზარდი რიცხვი თურქეთში) და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ევრაზიის ენერგო რესურსების ტრანსპორტირება დასავლურ ბაზრებზე. ავტორი მიუთითებს, რომ ეკონომიკურმა კავშირებმა შეცვალა განცდა იმისა, რომ ნდობის კრიზისი არსებობდა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში. ხელი შეუწყო ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებას და უფრო მეტიც ორმხრივი ურთიერთობები მრავალმხრივით ჩაანაცვლა (Arafat, 2011, გვ. 127).

რუსეთ - თურქეთის ურთიერთობებზე მნიშვნელოვან მოსაზრებებს გვთავაზობს ენლურ ჰასან მიკაილიც ნაშრომში „თურქულ რუსული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები“ (2013). კვლევაში ავტორი თურქეთს განიხილავს, როგორც ძველი ოტომანური იმპერიის მეორე თაობას, ხოლო რუსეთი, მისი აზრით, საბჭოთა კავშირის გაგრძელებაა. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ ურთიერთობას მსოფლიო პოლიტიკისათვის და ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ერთმანეთს, რამდენადაც მიიჩნევს, რომ ორი საზოგადოების მიერ ურთიერთაღქმა განსაზღვრავს მათ შორის ურთიერთობების ხარისხს.

რუსეთში თურქების მიმართ არსებული შეხედულებები და დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკური მიდგომის დეტერმინანტია, ასევე თურქეთში რუსეთის მიმართ შეხედულება განაპირობებს ზოგიერთ შემთხვევაში სამეზობლოში მიმდინარე პროცესების არასწორ აღქმას, შესაბამისად, ხელს უშლის ურთიერთობების აუცილებელი მიმართულებით წარმართვას (Mikail, 2013, გვ. 300).

მიკაილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თურქეთში რუსეთის სახე ცივი ომის პერიოდში ჩამოყალიბდა, რასაც ხელი შეუწყო ოტომანთა პერიოდის ომებმაც. სახელმწიფო მმართველებსა და ბიუროკრატებს ახალი სიტუაციის შესაბამისი შეხედულებები შესაძლოა არ ჰქონდეთ განვითარებული და წარსული მეხსიერების ელემენტებს ინარჩუნებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში თურქეთის ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი ესტუმრა რუსეთს, მის მიმართ

თანმიმდევრული საგარეო პოლიტიკა მაინც არ აქვთ და ამ ვიზიტების შემდეგ ურთიერთობებიც არ ყოფილა ისეთი ახლო, როგორსაც მოელოდნენ. ორივე ქვეყნის პოლიტიკოსები არ დგამენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს ურთიერთობების განვითარებისათვის (Mikail, 2013, გვ. 300).

შენერ აკტურკი რეალიზმიდან განიხილავს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებს სტატიაში „თურქულ - რუსული ურთიერთობების რეალისტური გადაფასება, 2002-2012: პიკიდან დაცემამდე?“. ის აღნიშნავს, რომ რუსეთი ყველაზე მნიშვნელოვან და უდავოდ, დიდ ძალად რჩება თურქეთის უახლოეს სამეზობლოში, ამიტომ მათ შორის ურთიერთობები ძირითადი ფაქტორია თურქეთი მშვიდობიან გარემოში განაგრძობს არსებობას, თუ მომავალში კონფლიქტი ექნება რუსეთთან.

2002 წელს თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება თურქეთის, რუსეთისა და ირანის კავშირის შექმნის შესახებ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა 2003 წელს თურქეთმა უარი თქვა აშშ-ის სამხედროების განლაგებაზე საკუთარ ტერიტორიაზე ერაყში შეჭრისათვის მზადების პერიოდში და ანალიტიკოსები მიუთითებდნენ, რომ თურქულ-რუსული ღერძი იქმნებოდა. ოფიციალურ დონეზეც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის ჩარჩოში განიხილებოდა. 2012 წელს კი სირიის ომის დროს უკვე სხვადასხვა მხარზე აღმოჩნდნენ. სტატიაში ავტორი აანალიზებს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების შედარებით გაუარესებას 2008-2012 წლებში. ამისათვის ის განიხილავს პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსეთისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად ფაქტორებს. თურქეთის პოლიტიკა რუსეთის ინტერვენციასთან ახლო აღმოსავლეთში, ნატოს გაფართოებასთან, სარაკეტო თავდაცვის ფარის შექმნასა და ენერგო სტრატეგიასთან დაკავშირებით კონფიქტშია რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მიზნებთან, თუმცა თურქეთიც რუსეთის მსგავსად მულტიპოლარული მსოფლიო წესრიგის მომხრეა (Akturk, 2013, გვ. 12). ამდენად, ავტორი ასკვნის, რომ რუსეთისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკას შორის არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად, კომპლემენტარულობაც არსებობს მათ ძირითად პრინციპებში.

სტატიაში „ენერგო თანამშრომლობა კავკასიაში: განგრძობითობა და ცვლილებები რუსულ-თურქულ ურთიერთობებში“ საშა კუნი, დევიდ მოსლერი და კატერინა რიხტერი განიხილავენ 2000-იან წლებში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების ცვლილებებსა და კავკასიის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას შორის კავშირს გლობალური ენერგო უსაფრთხოებისათვის. ნეო-რეალიზმისა და ლიბერალური ინტერგოვერნმენტალიზმის მეშვეობით ცდილობენ ახსნან რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ცვლილების ძირითადი დეტერმინანტები, ისინი მიუთითებენ, რომ რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს ტრადიციული ჰეგემონური პოზიცია, თურქეთი კი „რბილი ძალის“ როლის შესრულებისკენ მიისწრაფვის რეგიონში (Kuhn, Mosler and Richter, 2010, გვ. 2).

ავტორები რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების ახალ ფაზაში ცენტრალურ ფაქტორად განიხილავენ კავკასიის მიმართ საერთო ინტერესს. ორივე- ანკარაცა და მოსკოვიც- ცდილობენ მიიღონ სარგებელი რეგიონში გეოპოლიტიკური დაპირისპირების ურთიერთშეთავსებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მართალია, მათი ეროვნული ინტერესები არ შეცვლილა, მაგრამ მოახერხეს მიდგომების შეთანხმება, რათა უზრუნველყონ საკუთარი ადგილის დამკვიდრება კასპიის ზღვის ენერგო რესურსებთან მიმართებაში. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რუსეთი ნატოსა და ევროკავშირის გავლენის შესამცირებლად გაზრდილ ინტერესს გამოხატავს ანკარასთან თანამშრომლობის მიმართ, რამდენადაც ის ყველაზე ძლიერი აქტორია უშუალო სამეზობლოში (Kuhn, Mosler and Richter, 2010, გვ. 30).

კუნი, მოსლერი და რიხტერი ასკვნიან, რომ თურქეთი ცდილობს გახდეს რეგიონის ენერგო ცენტრი და „რბილი ძალის“ როლის ასრულებდეს, მაშინ, როცა რუსეთი „მძიმე ძალის“ გამოყენებასაც არ ერიდება რეგიონული ჰეგემონიის განმტკიცებისათვის. ისინი მიუთითებენ, რომ, მართალია, რეალიზმის აქცენტი სამხედრო შესაძლებლობებისა და ძალის მაქსიმიზაციაზე თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვრჩეს, თუმცა რუსეთსა და თურქეთს შორის თანამედროვე ეტაპზე არსებულ ურთიერთობებში ცენტრალურ ადგილს იკავებს კავკასიის მიმართ ორივე ქვეყნის ინტერესი, რაც დაკავშირებულია რეგიონის ენერგეკიტულ მნიშვნელობასთან და ამიტომ ანკარა და მოსკოვი ცდილობენ

მოახდინონ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ურთიერთშეთანხმება და თანამშრომლობა „მილსადენების პოლიტიკასთან“ დაკავშირებით (Kuhn, Mosler and Richter, 2010, გვ. 31).

წინამდებარე ნაშრომის მსგავს იდეას ავითარებს ანილ გურთუნა 2006 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „თურქულ-რუსული ურთიერთობები პოსტსაბჭოთა ეპოქაში: კონფლიქტიდან თანამშრომლობისკენ?“ ის მიუთითებს, რომ ცივი ომის დასრულებამ და გლობალიზმის იდეის განვითარებამ ანკარასა და მოსკოვს გაუჩინა ახალი შესაძლებლობები თანამშრომლობისათვის. კვლევაში გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში რუსეთის ფედერაციასა და თურქეთს შორის ურთიერთობების განვითარება. ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე და ამ ასპექტებს შორის კავშირზე (Gurtuna, 2006, გვ. 1).

ავტორი ცდილობს აჩვენოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ თურქეთისა და რუსეთისათვის შექმნა საფუძველი ორმხრივი ურთიერთობები ჩაენაცვლებინათ „მრავალგანზომილებიანი პარტნიორობით“ და ვაჭრობამ, ტურიზმმა და ენერგო საკითხებმა რეგიონში თანამშრომლობის მნიშვნელობა გაზარდა. თურქეთი რუსული გაზის უდიდესი მომხმარებელი და ახლო აღმოსავლეთში ძირითადი სავაჭრო პარტნიორი გახდა. ამდენად, ორი ქვეყნის წარმომადგენლების ვიზიტები და ხალხის აზრიც მიუთითებდა, რომ მათი ინტერესები უფრო მეტად ემთხვეოდა ერთმანეთს, ვიდრე წინააღმდეგობაში მოდიოდა (Gurtuna, 2006, გვ. 6). ყოველივე აქედან გამომდინარე, ანილ გურთუნა ასკვნის, რომ პოსტ-საბჭოთა პერიოდში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განვითარებაში ეკონომიკური ფაქტორები თამაშობს განმსაზღვრელ როლს (Gurtuna, 2006, გვ. 7).

როგორც განხილული ლიტერატურიდან ჩანს, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ შეხედულებებს გამოთქვამს და განსხვავებულ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას. ნაშრომთა უმეტესობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს რეალიზმისა და ნეო-რეალიზმის პრიზმიდან განიხილავენ,

განსხვავებით მათგან წინამდებარე ნაშრომი ცდილობს, თურქეთსა და რუსეთს შორის ორმხრივი ურთიერთობა განიხილოს, როგორც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითი და აჩვენოს, რომ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები მათ შორის პოლიტიკური წინააღმდეგობის დაძლევას განაპირობებს.

2.2 კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია პრინციპულად რეალიზმის საპირისპიროა ძირითად საკითხებში და ის საერთაშორისო ურთიერთობების პლურალისტული ხედვიდან გამომდინარეობს. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მიმდევრები მიიჩნევენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები სულ უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება. "დამოკიდებულება ნიშნავს, რომ სახელმწიფოს არსებობა და მისი პოლიტიკა გარეშე ძალების მიერ განისაზღვრება ან ეს ძალები მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. ურთიერთდამოკიდებულება კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებული პროცესი ცალმხრივი არ არის და საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილე სახელმწიფოები და სხვა მოქმედი პირები ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენენ და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ასევე კულტურულად, ეკოლოგიურად და ა.შ. ურთიერთდამოკიდებულება ზღუდავს ავტონომიას, სუვერენულობას." (რონდელი, 2006, გვ. 178).

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში განავითარეს ჯოზეფ ნაიმ და რობერტ კიოჰანმა, რომლებიც განიხილავდნენ ურთიერთდამოკიდებულებასა და ტრანსნაციონალიზმს 1977 წელს გამოცემულ ნაშრომში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება." ავტორები მიუთითებენ, რომ სახელმწიფოები იმდენად ურთიერთდაკავშირებულნი აღმოჩნდნენ ეკონომიკურად და კულტურულად, რომ ბევრი მათგანისთვის უკვე შეუძლებელია

განცალკევებულად არსებობა. თუმცა ურთიერთდამოკიდებულება არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად თანაბრად დამოკიდებულნი არიან, ხშირ შემთხვევაში ერთი უფრო მეტადაა დამოკიდებული მეორეზე. ისინი განიხილავენ ბრიტანეთისა და აშშ-ის მაგალითს და აღნიშნავენ, რომ მათ შორის ურთიერთკავშირების გაწყვეტა ორივე ქვეყანას დააზარალებს, მაგრამ ერთი უფრო მეტ დანაკარგს განიცდის, ვიდრე მეორე (Rana, 2015).

რობერტ კიოჰანი და ჯოზეფ ნაი წიგნში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება: მსოფლიო პოლიტიკა ტრანზიციაში“ გამოყოფენ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამ ძირითად მახასიათებელს. მათი აზრით, საერთაშორისო პოლიტიკაში სხვადასხვა საზოგადოების დამაკავშირებელი უამრავი არხი არსებობს, როგორებიცაა სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი და ტრანსნაციონალური სავაჭრო ოპერაციები. ასეთ კომპლექსურ მსოფლიოში არასამთავრობო და ტრანსეროვნულ ორგანიზაციებს შორის კავშირები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. მრავალეროვნულ ფირმებსა და ბანკებს დიდი გავლენა აქვთ სახელმწიფოთა როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობებზე. ნაი და კიოჰეინი თვლიან, რომ ეს აქტორები სახელმწიფოთა სამთავრობო პოლიტიკას ერთმანეთის მიმართ მოწყვლადს ხდიან (Rana, 2015, გვ. 291).

ავტორების აზრით, მეორე მახასიათებელი არის ის, რომ კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში არ არსებობს საკითხთა იერარქია და სამხედრო უსაფრთხოება აღარ იკავებს დომინანტურ პოზიციას დღის წესრიგში. საგარეო საკითხები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება (Rana, 2015, გვ. 292).

რაც შეეხება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მესამე მახასიათებელს, ის თვლის, რომ ძალას აღარ ენიჭება ცენტრალური როლი გადარჩენისათვის. როდესაც კომპლექსური უერთიერთდამოკიდებულება არსებობს, სამხედრო ძალა შეუსაბამოა ეკონომიკურ საკითხებზე არსებული უთანხმოებების მოსაგვარებლად. კიოჰანე და ნაი მიიჩნევენ, რომ ძალა აღარ მიიჩნევა ეკონომიკური და ეკოლოგიური კეთილდღეობის მისაღწევ საშუალებად. ისინი სულ უფრო მნიშნელოვანი ხდება, რამდენადაც სამხედრო

ძალის რეზულტატი მაღალი ღირებულების მქონეცაა და გაურკვეველიც (Keohane & Nye, 1977, გვ. 28). თანამედროვე მსოფლიოში ატომური, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელების გამო, ომს ბევრად უფრო დიდი დანაკარგები მოყვება, რასაც ყველა აქტორი აცნობიერებს კიდეც (Rana, 2015, გვ. 292).

ნაისა და კიოჰანის აზრით, სამხედრო ძალის როლის შემცირება და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდის საშუალებას იძლევა. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით, მართალია, სამხედრო ძალა აღარ არის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი, თუმცა გარკვეული ტიპის ურთიერთობებში სამხედრო ძლიერება კვლავ მნიშვნელოვანია. კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში კონფლიქტებმა შესაძლოა სხვა ფორმა მიიღოს და ახალი გამომწვევი მიზეზებიც გაჩნდეს, მაგრამ, მკვლევართა აზრით, მაღალი დონის ურთიერთდამოკიდებულება სადავო საკითხების გადაჭრის მშვიდობიანი გზების გამონახვას უწყობს ხელს. „სახელმწიფოებისათვის ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობა იმდენად ჩვეულებრივი და აუცილებელი გახდება, რომ ომის წარმომშობი პირობებიც კი ძალზე შეიზღუდება“ (რონდელი, 2006, გვ. 180).

ნაისა და კიოჰანის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებულება ისეთი ვითარებაა, როდესაც სახელმწიფოებია ან აქტორების ავტონომია შეზღუდულია, რამდენადაც მათზე გავლენას ახდენს ქვეყნის გარეთ მიმდინარე მოვლენები. საერთაშორისო ტრანზაქციების გავრცელება ხელს უწყობს პროცესის გაღრმავებას, რამდენადაც დაკავშირებული ხარჯები ზღუდავს პოლიტიკურ ქმედებებს. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიაში, ძალის კონცეფცია შეზღუდულია, ის წარმოადგენს სამხედრო იძლებას ან შედეგების კონტროლის საშუალებას, რამდენადაც ნაკლებად დამოკიდებულ ქვეყანას შეუძლია საკუთარი პოზიციის გამოყენება სხვებზე გავლენის მოსახდენად.

ურთიერთდამოკიდებულებაში ძალის განზომილებები შეიძლება იყოს სენსიტიურობა და მოწყვლადობა. პირველი გულისხმობს იმ ტემპებსა და სიძლიერეს, რომლითაც

ცვლილებები ერთ ქვეყანაში აისახება მეორეზე. მოწყვლადობა კი ნიშნავს, რომ ნაკლებად დამოკიდებულ ქვეყანას შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვებზე და გაუზარდოს დანახარჯები.

განსხვავებით რეალიზმისაგან, რომელიც მიიჩნევს, რომ: 1. სახელმწიფოები უნიტარული აქტორები არიან საერთაშორისო პოლიტიკაში; 2. ძალა პოლიტიკის მიღებული ინსტრუმენტია; 3. მსოფლიო პოლიტიკაში საკითხთა იერარქია არსებობს და სამხედრო საკითხები სათავეშია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია საზოგადოებებს შორის კავშირების მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. ტრანსნაციონალური ურთიერთობები, პოლიტიკისა და ბიზნესის შესახებ არასამთავრობო ელიტების შეხვედრები, მრავალეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები მთავრობებს უფრო სენსიტიურს ხდიან ერთმანეთის მიმართ და პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება საერთაშორისო კომუნიკაციების გაფართოებასთან ერთად.

საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგს რაც შეეხება, ის უფრო მრავალფეროვანია, რაც ართულებს საგარეო პოლიტიკას. საკითხთა ერთი ნაწილი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს რომელიღაც ჯგუფისთვის, მაშინ, როცა კატეროგიურად ეწინააღმდეგებოდეს სხვა პოლიტიკას. ნაისა და კიოჰანის მიხედვით, ინდუსტრიალიზებულ, პლურალისტულ სახელმწიფოებში უსაფრთხოება გაზრდილია. ზოგიერთ შემთხვევაში, ძალა არ არის მისაღები პოლიტიკური ინსტრუმენტი, მაგალითად, ეკონომიკურ ან გარემოს დაცვის საკითხებზე ურთიერთობისას. მართალია, სამხედრო ძალა კვლავ რელევანტურია, მაგრამ ის ხშირად ართულებს ისეთი მიზნების მიღწევას, რომლებიც უსაფრთხოებას არ ეხება.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიაში ეკონომიკური დომინანტობა, შესაძლოა, შეზღუდული იყოს საშინაო, ტრანსამთავრობო თუ ტრანსეროვნული აქტორების გავლენით. შედეგებიც განსხვავებულია საკითხების მიხედვით, კავშირები უფრო სუსტი ქვეყნებისთვის მეტი სარგებლის მომტანი შეიძლება გახდეს, რამდენადაც

ისინი იღებენ კომპენსაციას ძლიერი სახელმწიფოებისგან (Keohane & Nye, 1989, გვ. 3-32).

კიოჰანე და ნაი აღნიშნავენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება ახდენს გავლენას სახელმწიფოების ქცევაზე და მსოფლიო პოლიტიკაზე, მაგრამ ამავე დროს, თავის მხრივ, მთავრობათა ქმედებებიც გავლენას ახდენს ურთიერთდამოკიდებულების მოდელზე (კიოჰეინი და ნაი, 2004, გვ. 326).

ტრადიციული დიქოტომია, როდესაც ეროვნული უსაფრთხოება მიეკუთვნება „მაღალ პოლიტიკას“, ხოლო ეკონომიკური საკითხები „დაბალი პოლიტიკის“ სფეროა, უკვე შეუსაბამო და ხელოვნურია. სახელმწიფოები არ არიან ავტონომიურები საერთაშორისო ბაზრებისა და საშინაო პოლიტიკისაგან. ისინი იმდენად არიან საერთაშორისო ბაზრებზე და რესურსებზე დამოკიდებულნი, რამდენადაც ქვეყნებს სჭირდებათ ფინანსური რესურსები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (Ripsman, 2006, გვ. 14). ეკონომიკურ საკითხებს ყოველთვის ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რამდენადაც ტრადიციულად, უსაფრთხოების საკითხები დომინირებდა პოლიტიკური რეალიზმის ფარგლებში (Ripsman, 2006, გვ. 3).

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდილ აუცილებლობას, რამდენადაც სამხედრო ძალის გამოყენებით უკვე შეუძლებელია ყველა პრობლემის გადაჭრა, პირიქით, საჭიროა ინტეგრაცია, თანამშრომლობა. ალექსანდრე რონდელი (2006) წერს, რომ კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების სამყარო მარტივი არ იქნება. „რეალიზმის თვალით აღქმული „თეთრი“ და „შავი“ აქ, ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციაში, მრავალფეროვანია და ამდენად ბევრი მოვლენისა და პროცესის ადვილად და ერთმნიშვნელოვნად შეფასება შეუძლებელია“ (რონდელი, 2006, გვ. 181).

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის ჩარჩოებში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების განხილვა რამდენად გამართლებულია ნაშრომის შემდგომ სექციებში იქნება განმარტებული, მანამდე კი მნიშვნელოვანია მათ შორის ურთიერთობების განვითარებისა და კონკრეტული ქეისების აღწერა.

3. რუსეთსა და თურქეთს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ისტორია

თანამედროვე ეტაპზე რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული ურთიერთობების უკეთ გასაგებად, მნიშვნელოვანია მათი განვითარების დინამიკის განხილვა საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, იმ საკითხებისა და მიზეზების გამოყოფა, რომლებიც ამ პერიოდში იჩენდა თავს. კერძოდ, მოცემულ თავში წარმოდგენილია თურქეთსა და რუსეთს შორის მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები 1992 წლიდან.

3.1 რუსეთისა და თურქეთის ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

ისტორიულად, რუსეთის იმპერიასა და ოტომანთა თურქულ იმპერიას შორის არასდროს არ ყოფილა მეგობრული და ახლო ურთიერთობა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტებიც ხდებოდა (Arafat 2011, 105). საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო, რაც მოსალოდნელიც იყო. 1992 წლის 25 მაისს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის პრინციპების შესახებ თურქეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის, რამაც სტრატეგიული საფუძველი შექმნა ორ ქვეყანას შორის პოზიტიური ურთიერთობებისათვის.

ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება დაიწყო 1960-იანი წლების დასაწყისიდან, 1984 წელს რუსული გაზის შესახებ შეთანხმებამ კიდევ უფრო განამტკიცა ეკონომიკური კავშირები. 1990-იან წლებშიც ეკონომიკური თანამშრომლობა გრძელდებოდა, მიუხედავად, პოლიტიკური უთანხმოებისა. 1995-1999 წლებში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობდა რუსეთის ომი ჩეჩნეთში და თურქეთის ბრძოლა ქურთული სეპარატიზმის წინააღმდეგ, რამდენადაც თურქეთი მხარს უჭერდა ჩეჩნებს, ხოლო მოსკოვი- ქურთების მუშათა პარტიას თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე მათ შორის არსებობდა

დაპირისპირება ცენტრალურ აზიაში თიურქულ სახელმწიფოებზე გავლენის მოპოვებისა და სამხრეთ კავკასიისათვის (Ozel, 2016 May 10, 3).

1997 წელს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეწვია მოსკოვს და ცდილობდა ხაზი გაესვა იმ ფაქტისათვის, რომ პოლიტიკური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის ისეთივე მწვავე იყო, როგორც ადრე, ამიტომ საჭირო იყო უფრო აქტიური მოქმედება ისეთ სფეროებში, რომლებშიც საერთო ინტერესები გააჩნდათ. შესაბამისად, ეკონომიკურ თანამშრომლობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა (Arafat 2011, გვ. 107).

ორ ქვეყანას შორის ურთიიერთობები გაუმჯობესდა დიპლომატიური და ეკონომიკური მიმართულებით ჩეჩნეთის მეორე ომის შემდეგ. 1999 წლის 5-6 ნოემბერს თურქეთის პრემიერ მინისტრი მოსკოვში იმყოდებოდა ოფიციალური ვიზიტით და რამდენიმე შეთანხმებაც გაფორმდა. 1999 წლის 5 ნოემბერს ხელი მოეწერა „ანტი-ტერორიზმის შესახებ საერთო დეკლარაციას“, ხოლო მეორე შეთანხმება იყო ოფიციალური ვალდებულება ლურჯი ნაკადის პროექტის მიმართ (Arafat 2011, გვ. 107).

ეს პროექტი წარმოადგენდა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობების დამშვიდების საშუალებას. ათწლეულის დასასრულისათვის ენერგიის გაყიდვა და ტრანსპორტირება იკავებდა ძირითად ადგილს ქვეყნებს შორის ორმხრივ ურთიერთობაში.

2000 წლის იანვარში რუსეთის ფედერაციის სათავეში პუტინის მოსვლის შემდეგ პოლიტიკური ურთიერთობები თვისებრივ ცვლილებას განიცდის, მან მოქნილ პოლიტიკას მიმართა თურქეთის მიმართ, ცდილობდა დაძაბულობის შემცირებას და წინააღმდეგობების გადალახვას (Arafat 2011, 108). 2000 წლის ოქტომბერში რუსეთის პრემიერ მინისტრ მიხეილ კასიანოვის ვიზიტმა თურქეთში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელსაც სტრატეგიული პარტნიორობაც შეიძლბა მოჰყოლოდა (Ozel, 2016 May 10, 3). 2001 წლის შემდეგი ეტაპი შეიძლება ჩაითვალოს ოქროს ხანად ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში, ამ პერიოდში განხორციელდა არაერთი უმაღლესი დონის ვიზიტი და ფორმალური ორმხრივი შეთანხმებები. ერდოღანისა და პუტინის მეთაურობის პერიოდში რუსეთისა და

თურქეთის ურთიერთობას ძლიერი ბიძგი მიეცა, რომელიც ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე იყო დაფუძნებული (Onis and Yilmaz 2015, 7).

ენერგო სფეროში თანამშრომლობის ზრდასთან ერთად, ვიზის საჭიროებაც მოიხსნა. შეიქმნა მთავრობათაშორისი უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭო, რომელმაც რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობები სტრატეგიული პარტნიორობის დონემდე აიყვანა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საფუძველი შექმნა. 2008 წელს რუსეთის საქართველოშ შეჭრის გამო, რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული დაპირისპირების მიუხედავად, 2010 წელს საბჭოს შეხვედრა შედგა, რამაც აშშ-ისა და ნატოს გაღიზიანება გამოიწვია. ამავე პერიოდში, თურქეთი გახდა პირველი ნატოს წევრი ქვეყანა, რომელიც იარაღს რუსეთისაგან ყიდულობდა (Ozel, 2016 May 10, 3).

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებს „პოლიტიკური დუალიზმითაც“ ახასიათებენ, რამდენადაც ის მოიცავს როგორც თანამშრომლობას, ასევე მეტოქეობასაც. 1991 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში რუსეთსა და თურქეთს შორის ბევრი უთანხმოება წარმოიშვა, მათ შორის:

1. ეთნოპოლიტიკური საკითხები, როგორიცაა რუსეთის სამხედრო კამპანიები ჩეჩნეთში და ქურთების საკითხი თურქეთში;
2. ენერგო რესურსების ტრანსპორტირების გზები, კერძოდ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ნაბუკოს მილსადენები.
3. სამხრეთ კავკასიის საკითხი, სადაც რუსეთი და სომხეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან, თურქეთი საქართველოს მთლიანობას უჭერს მხარს და მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანის სასარგებლოდ გადაწყვეტას;
4. მოსკოვის შიში პან-თურქული სენტიმენტების მიმართ; (Markenderov and Ulchenko 2011);
5. სირიის საკითხი, სადაც ასევე განსხვავებული პოზიციები ეკავათ.

3.2 ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება

ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი რუსეთსა და თურქეთს შორის სხვა სფეროებში განვითარებულიყო თანამშრომლობა. ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველია ვაჭრობა, თურქული სამშენებლო კომპანიები რუსეთში, რუსი ტურისტების მზარდი რაოდენობა თურქეთში, ასევე, ენერგო რესურსების წარმოება და ტრანსპორტიება დასავლეთის ბაზრებზე ევრაზიიდან. ეკონომიკურმა თანამშრომლობამ შეუწყო ხელი იმ გაბატონებული შეხედულების შემცირებას, რომ ამ ორ ქვეყანს შორის ურთიერთობები აუცილებლად კონფლიქტურია და არ არსებობს ნდობა. უფრო მეტიც, ეკონომიკურმა დამოკიდებულებამ განაპირობა ორმხრივი ურთიერთობების მრავალგანზომილებიან პარტნიორობად გარდაქმნა (Arafat, 2011, გვ. 116).

ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაცია ძირითადად სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მმართველობის პერიოდში იწყება. ორი ქვეყნის ლიდერი ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს, თანხმდებოდნენ ენერგო საკითხებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს თანაბარი ურთიერთობა არ არის, თურქეთი სულ უფრო დამოკიდებული გახდა რუსულ გაზზე, მისმა წლიურმა სავაჭრო დეფიციტმა რუსეთთან მიმართებაში 20 მილიონ დოლარს მიაღწია. ატომური რეაქტორის მშენებლობამ კიდევ უფრო გაზარდა რუსეთის გავლენა თურქეთზე (Ozel, 2016 May 10, 3).

2001 წლის შემდგომი ეტაპი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ოქროს ხანად რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობებში. პუტინისა და ერდოღანის მმართველობის პერიოდში მათმა თანამშრომლობამ ძლიერი ბიძგი განიცადა, რაც ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებაზე იყო დაფუძნებული (Onis and Yilmaz 2015, 7). ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში შეიძება სამი განზომილება გამოიყოს: ვაჭრობა, ინვესტირება და ტურიზმი.

თურქეთის ეკონომიკურმა კავშირებმა რუსეთთან განაპირობა თურქეთის რეგიონული პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ. ანკარა ახორციელებს სამრეწველო საქონლის ექსპორტს რუსეთში, მათ შორისაა, ტექსტილი, საკვები, გადაზიდვის საშუალებები და

ქიმიური ნივთიერებები. სანაცვლოდ, თურქეთს შემოაქვს რუსეთიდან ნედლეული, ბუნებრივი აირი, ნავთობი და მეტალები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთი ძირითადი ბაზარი გახდა თურქეთის ექსპორტირებული საქონლისათვის დაა თურქეთის საგარეო ვაჭრობაში მეორე ადგილს იკავებდა. ასევე, ექსპორტირებული საქონლის დიდი ნაწილი არის სამრეწველო, შესაბამისად, მაღალი ელასტიურობით ხასიათდება, ამიტომ თურქეთი უფრო მოწყვლადია ეკონომიკურ ურთიერთობებში რუსეთის ფედერაციის მიმართ (Arafat 2011, 118).

თუ 1992 წელს თურქეთის ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში 441.9 მილიონ დოლარს უდრიდა, 1995 წელს თურქულმა ექსპორტმა 1.238 მილიარდ დოლარს მიაღწია. 1996 წელს საერთო სავაჭრო მოცულობა 3.39 მილიარდი დოლარი იყო, 1997 წელს კი - 4.097 მილიარდი. 2000 წელს თურქეთის ექსპორტი რუსეთში 644 მილიარდი დოლარი იყო, 2001 წელს- 923 მილიონი დოლარი. 2004 წელს საერთო სავაჭრო მოცულობა ორ ქვეყანას შორის 10.860 მილიონ დოლარს უდრიდა და მზარდი ხასითი ჰქონდა, (დანართი 1) თუმცა შემოსავლების გადანაწილება არ იყო დაბალანსებული, რამდენადაც რუსეთის მხრიდან ექსპორტი ოთხჯერ მეტი იყო, ვიდრე თურქეთის მხრიდან რუსეთში ექსპორტი. თურქეთის საელჩოს სავაჭრო სამდივნოს მონაცემების მიხედვით, თურქეთის სავაჭრო მოცულობამ რუსეთთან 20 მილიარდ დოლარს გადააჭარბა 2006 წელს, როდესაც რუსეთი თურქეთისათვის სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორი გახდა გერმანიის შემდეგ, ვაჭრობამ ზრდა განაგრძო 2007 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაშიც და 17 მილიარდ დოლარს მიაღწია (Arafat 2011, 120).

მეორე განზომილება არის ინვესტიცია. თურქული სამშენებლო კომპანიები ახორციელებდნენ ინვესტირებას რუსულ ბაზარზე ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. საერთო სამშენებლო პროექტების ღირებულება 1972-2012 წლებში გაიზარდა 39 მილიარდი დოლარით. მესამე განზომილება კი ტურიზმია, 2011 წელს უვიზო რეჟიმი ამოქმედდა რუსეთსა და თურქეთს შორის, რამაც ურთიერთნდობა გააძლიერა. 2012 წელს 3.6 მილიონი რუსი ტურისტი ეწვია თურქეთს, 2013 წელს კი- 4 მილიონი სტუმარი რუსეთიდან. ტურიზმის მასშტაბებმა, სამუშაო მობილობამ და

ქორწინებებმა გაზარდა კონტაქტები რუსეთსა და თურქეთს შორის (Onis and Yilmaz 2015, 9).

რაც შეეხება ენერგო სფეროს, ენერგო საკითხები მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თურქეთის პოლიტიკაში რუსეთის ფედერაციის მიმართ. თურქეთი რუსეთს მიიჩნევს არა მხოლოდ მეტოქედ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხში, არამედ, ბუნებრივი აირის მთავარ მიმწოდებლადაც თურქეთისათვის. თურქეთი კასპიის ნავთობისა და თურქმენეთის ბუნებრივი აირის მნიშვნელოვან პოტენციურ საექსპორტო გზაზე მდებარეობს. თურქეთი რუსეთის ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი ძირითადი მომხმარებელი გახდა და მხარს უჭერდა ისეთი მილსადენის მშენებლობას, რომელიც რუსეთიდან თურქეთში ბუნებრივი აირის მიწოდებას უზრუნველყოფდა, ასეთი პროექტი გახდა „ლურჯი ნაკადი“, რომელიც თურქმენეთის ბუნებრივი გაზისათვის მეტოქე პროექტი გახდა .

ამდენად, თურქეთსა და რუსეთს შორის მძლავრი ეკონომიკური ურთიერთობები არსებობს, უფრო მეტიც, ისინი ურთიერთდამოკიდებულნი არიან ეკონომიკურ სფეროში და აღნიშნული საკითხი დიდ როლს თამაშობს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკურ ურთიერთობებზეც, განსაკუთრებით, 2000-იანი წლების დასაწყისიდან. ხშირ შემთხვევაში მათ შორის არსებული ეკონომიკური კავშირები კონფლიქტის გაღრმავებასა და მათ შორის არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობების დაძლევის საშუალებადაც წარმოგვიდგება. აღნუშნული შეხედულების შესამოწმებლად, ნაშრომის შემდეგ ნაწილში განხილულია სამი ქეისი, კერძოდ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და მისი გავლენა თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებზე და 2015 წელს ანკარის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება, რამაც განსაკუთრებით გაამწვავა ორ მოსკოვსა და ანკარას შორის პოლიტიკური ურთიერთობები.

4. 2008- 2016 წლების პერიოდში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების განხილვა

რუსეთისა და თურქეთს შორის 2008 – 2016 წლებში წარმოშობილი უთანხმოებების და მათი გადალახვის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევისათვის მოცემულ თავში განხილულია სამი ქეისი, კერძოდ, 2008 წლის საქართველო - რუსეთის ომის გავლენა ანკარასა და მოსკოვს შორის ურთიერთობებზე, 2014 წელს ყირიმის ანექსია და 2015 წელს განსაკუთრებით გამწვავებული ურთიერთობები თურქეთის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდების გამო. აღნიშნული შემთხვევების განხილვით ნაშრომი ცდილობს აჩვენოს, რომ ორ ქვეყანას შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების დაძლევას და კრიზისის შემდეგ მალევე ურთიერთობების განახლებას ხელი შეუწყო მათ შორის არსებულმა მჭიდრო ეკონომიკურმა კავშირებმა.

4.1 2008 წლის აგვისტოს ომის გავლენა თურქეთ - რუსეთის ურთიერთობებზე

საქართველო ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა თურქეთის სტრატეგიული ინტერესებისათვის სამხრეთ კავკასიაში, რამდენადაც ის ერთადერთია, რომელიც გეოპოლიტიკურად რუსეთსა და თურქეთს შორის მდებარეობს და ერთგვარად ბუფერის როლსაც ასრულებს. დამოუკიდებლობის მოპოვების და განსაკუთრებით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველო აშშ-ის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ახლო მოკავშირე გახდა. ის ნატოში გაწევრიანებას ცდილობს და თურქეთთან კიდევ უფრო დაახლოვდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობპროექტის განხორციელებით, რომელმაც კასპიის ზღვის ნავთობი მსოფლიო ბაზრებს დაუკავშირა. მეორე მნიშვნელოვანი პროექტი ყარსი-თბილისის სარკინიზგო ხაზი იყო, რომელსაც თურქეთის, აზებაიჯანისა და საქართველოს სარკინიგზო ქსელი უნდა დაეკავშირებინა (Akturk, February 12, გვ. 2).

შესაბამისად, რუსეთის მიერ საქართველოში დაწყებულ აგვისტოს ომს მნიშვნელოვანი რეგიონული გეოპოლიტიკური შედეგები ჰქონდა და თურქეთის ინტერესების საპირისპირო იყო, რამდენადაც თურქეთი ცდილობდა „გეოპოლიტიკური პლურალიზმის“ შენარჩუნებას სამხრეთ კავკასიაში, რაც გამოიხატებოდა რეგიონის სახელმწიფოების პოლიტიკური სუვერენიტეტის გაძლიერების მხარდაჭერაში, რუსული გავლენის ზრდის წინააღმდეგობაში და სამხეთ კავკასიის სახელმწიფოების ევროატლანტიკურ ორგანიზაციებთან დაახლოებაში. ეკონომიკური კუთხით კი, თურქეთი ცდილობდა ნავთობისა და გაზის მილსადენების მშენებლობას კავკასიაში, რაც კასპიის ზღვის ნედლეულს დააკავშირებდა მსოფლიო ბაზრებთან რუსეთის გვერდის ავლით (Torbakov, 2008, გვ. 5).

ხუთდღიანი ომის შედეგი იყო ის, რომ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და გაზარდა სამხედრო კონტინგენტი რეგიონში. შესაბამისად, თურქეთის ინტერესები მნიშვნელოვნად დაზარალდა, კავკასიაში სტატუს ქვოს დარღვევით თურქეთი გეოპოლიტიკურად უფრო მოწყვლადი გახდა და აჩვენა რუსეთის მზარდი ბერკეტი თურქეთის მიმართ და ანკარის მზარდი ენერგო დამოკიდებულება რუსეთზე (Torbakov, 2008, გვ. 6).

გარდა ამისა, რუსეთ - საქართველოს ომმა შეცვალა სამხრეთ კავკასიასა და კასპიის ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ბალანსი, რაც თურქეთის ინტერესების საპირისპირო იყო, რამდენადაც რუსეთმა ამ ომით ნათელი გახადა, რომ ის არ მოერიდებოდა ნებისმიერი საშუალების გამოყენებას საკუთარი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად (Torbakov, 2008, გვ. 11). 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, თურქეთის სტრატეგიიული პოზიციის არასტაბილურობა ცხადი გახდა. ვაშინგტონის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ექსპერტი ბულენთ ალირიზა (2008) მიუთითებს: „კონფლიქტმა თურქეთი რთულ დიპლომატიურ სიტუაციაში ჩააყენა არა მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოებს შორის, არამედ, აშშ-სა და რუსეთს შორისაც“ (Torbakov, 2008, გვ. 12).

მიუხედავად ყოველივე ამისა, თურქეთმა აქტიური მხარდაჭერა არ გამოხატა საქართველოს მიმართ, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ არ სურდა რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭება. მაშინ, როცა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, რომლის წევრიც არის თურქეთიც, ღიად უჭერდა მხარს საქართველოს და ევროკავშირმა მკაცრად დაგმო რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება, თურქეთის მთავრობას მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია. მათ მხოლოდ მოკლე განცხადება გააკეთეს და მიმდინარე პროცესების გამო მღელვარება გამოხატეს (Sinan & Schwarz, 2008).

როდესაც ვაშინგტონმა საქართველოში გამოგზავნა სამხედრო ხომალდები ჰუმანიტარული დახმარებისათვის, რუსეთმა მოითხოვა 1936 წლის მონტრიოს კონვენციის ამოქმედება, რომლის მიხედვითაც, იმ ქვეყნებს, რომლებიც არ იყვნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლში არ აქვთ უფლება დარჩნენ ზღვაში 21 დღეზე დიდხანს. აგვისტოს ბოლოს რუსეთი სხვადასხვა არხების გამოყენებით მუდმივად უკავშირდებოდა თურქეთს, რათა დარწმუნებულიყო, რომ ანკარა კონვენციის მოთხოვნებს შეასრულებდა (Torbakov, 2008, გვ. 14). ამავე პერიოდს დაემთხვა მათ შორის სავაჭრო უთანხმოებაც, როდესაც რუსეთმა თურქული სატვირთო მანქანები მკაცრი კონტროლის ქვეშ გაატარა და ერთი თვის განმავლობაში გააჩერა სასაზღვრო პოსტებზე (Sinan & Schwarz, 2008). თურქული მხარე მიუთითებდა, რომ რუსეთი ცდილობდა წნეხის ქვეშ მოექცია, რათა არ გაეტარებინა მეტი სამხედრო გემი სრუტეების გავლით შავ ზღვაში (Torbakov, 2008, გვ. 15). თავის მხრივ, ანკარაც დაემუქრა რუსეთს, რომ მოახდენდა რუსული იმპორტის ბლოკირებას. თურქეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა კურსად თუზმენმა განაცხადა: „როგორც რუსეთი მოექცევა თურქულ საქონელს, ანალოგიურად მოვექცევით ჩვენც რუსულს“ (Tait, 2008).

მიუხედავად, აღნიშნული წინააღმდეგობებისა, თურქეთის არაერთი წარმომადგენელი ხაზს უსვამდა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობას. მაგალითად, თურქეთის ექსპორტიორთა ასამბლეის პრეზიდენტ ოგუზ სატიქის განცხადებით რუსეთსა და თურქეთს ძლიერი ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშრები გააჩნიათ. რუსეთი თურქეთისათვის უდიდესი სავაჭრო

პარტნიორია და მათ შორის სავაჭრო ურთიერთობები არ შეიძლება შემცირდეს. მან მიუთითა, რომ რუსეთის ბაზარი ისეთივე მნიშნელოვანია, როგორც ევროპული (Torbakov, 2008, გვ. 16).

გარდა ამისა, 2 სექტემბერს გაკეთებულ განცხადებაში, თურქეთის პრეზიდენტი რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობებს უსვამდა ხაზს: „თურქეთის მხრივ არ იქნება სწორი საქციელი რომელიმე მხარეს მიემხროს. ზოგიერთს სურს საქართველოს ინციდენტის შემდეგ თურქეთი ან აშშ-ის მხარეს დადგეს, ან რუსეთის. ერთი მხრივ არის ჩვენი ახლო მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატები, მეორე მხრიც კი, რუსეთი, რომელთანაც მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები გაგვაჩნია“ (Torbakov, 2008, გვ. 16).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთსა და თურქეთს შორის ვაჭრობის მოცულობა ძალიან სწრაფად იზრდებოდა. 2002 წელს ვაჭრობა 5 მილიარდ დოლარს შეადგენდა, მაგრამ 2008 წელს, როდესაც რუსეთსა და თურქეთს შორის საქართველოს საკითხის გამო დაძაბულობა არსებობდა, მათ შორის ვაჭრობამ 37 მილიარდ დოლარს გადააჭარბა (Akturk, 2013, გვ. 20). ამ პერიოდში რუსეთი თურქეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი გახდა და გერმანიას გადაასწრო (Magen and Lindenstrauss, 2013, გვ. 62). ამდენად, ამ პერიოდში მათ შორის ვაჭრობა წინა წლებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა, შესაბამისად, რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში, დანაკარგებიც მაღალი იქნებოდა.

ნათელი დასტური იმისა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური კავშირები დიდ მნიშვნელობას ატარებს ორივე ქვეყნისათვის, იყო რუსეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაგრძელება აგვისტოს ომის შემდეგ და ზოგიერთ სფეროში გაძლიერება კიდეც. მაგალითად, ეკონომიკური მასშტაბისა და სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით ყველაზე აღსანიშნავი იყო, რუსეთსა და თურქეთს შორის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე შეთანხმება 2010 წლის მაისში, რომლის მიხედვითაც, რუსეთის სახელმწიფო კორპორაცია „როსატომი“ ააშენებდა აკკუიუში ატომურ სადგურს. გარდა ამისა, ტურიზმი და ვაჭრობაც ორ ქვეყანას შორის ვითარდებოდა, ორმხრივი ვაჭრობა 2009 წელს არსებული 23 მილიარდი დოლარიდან

2012 წლისათვის 33 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ტურისტთა რიცხვმა კი 2010 წლისთვის 3 მილიონს გადააჭარბა, 2013 წელს- 4 მილიონს (დანართი 2). თურქეთი რუსული გაზის მოხმარებით მეორე ადგილზე აღმოჩნდა გერმანიის შემდეგ (Akturk, February 12, გვ. 3).

4.2 რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია

2013 წლის ნოემბრიდან უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა, კერძოდ, მასობრივმა პროტესტებმა კიევში, პირდაპირი გავლენა იქონია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაზე და თითოეულ სახელმწიფოზე ცალ-ცალკე. უკრაინის მოსახლეობა, რომელიც მხარს უჭერდა ქვეყნის პრო-ევროპულ კურსს, ქუჩაში გამოვიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა შეაჩერა ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერისათვის მზადების პროცესი რუსეთთან დაახლოების მიზნით. იანუკოვიჩი პარლამენტის მიერ პრეზიდენტობიდან გადაყენების შემდეგ, იძლებული გახდა გაქცეულიყო ჯერ ხარკოვში, შემდეგ კი - რუსეთში. უკრაინის სათავეში პრო-დასავლური მთავრობის მოსვლა, რომელსაც რუსეთი გადატრიალებას და არალეგიტიმურს უწოდებდა, რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის წინაპირობა გახდა 2014 წლის თებერვალში. ამას მოჰყვა საეჭვო რეფერენდუმი ყირიმში, რომელმაც დაადასტურა რუსეთის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსირება 2014 წლის მარტში (Akturk, , 3). 4 დეკემბერს უკრაინის გენშტაბის გენერალ-მაიორმა, ალეკსანდრ როზმაზნინოვმა განაცხადა, რომ რუსეთმა განალაგა ანტისარაკეტო სისტემა ყირიმში, რამაც შავი ზღვის რეგიონში სამხედრო ბალანსი კითვის ნიშნის ქვეშ დააყენა (Bugriy, 2014).

შესაბამისად, ყირიმის ანექსიამ კრიტიკული როლი ითამაშა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობაში, რამდენადაც მას ცენტრალური ადგილი უკავია შავ ზღვაში. ანექსიამდე თურქეთს საზღვაო და სტრატეგიული უპირატესობა გააჩნდა შავ ზღვაში. რუსეთის მიერ ყირიმის დაკავებამ კი შეცვალა ბალანსი, მოსკოვი გახდა მზარდი ჰეგემონური ძალა, რომელიც ყველა შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოს ემუქრება, მათ

შორის, თურქეთსაც. თურქეთში არაერთი პროტესტი მოეწყო რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ რუსეთმა დაარღვია შედარებითი მშვიდობა და მაღალი დონის თანამშრომლობა რუსეთსა და თურქეთს შორის, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებობდა (Akturk, , 4).

ყირიმის ანექსიის შემდეგ, ანკარამ შეშფოთება გამოხატა ყირიმელი თათრების გამო, რომლებიც მხარს უჭერდნენ უკრაინის დამოუკიდებლობას და არ სურდათ კვლავ რუსული მმართველობის ქვეშ ცხოვრება. თუმცა, მიუხედავად, ყირიმელ თათრებთან თურქეთის დიდხნიანი სიახლოვისა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისა, თურქეთმა მაინც არ დაიკავა მკაცრი პოზიცია რუსეთის მიმართ. მართალია, არაერთი განცხადება გაკეთდა უკრიანის მხარდასაჭერად, მაგრამ თურქეთის ოფიციალური პირების განცხადებებმა სიმბოლური ხასიათი მიიღო და მხოლოდ ვერბალური გაფრთხილებებით შემოიფარგლა (Balci, 2015).

მიუხედავად ამ განსხვავებებისა ყირიმის საკითხზე, რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები არ შესუსტებულა. 2014 წელს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოცულობა 34 მილიარდ დოლარს აღწევდა (იხ. დანართი 1) თურქეთმა უარი თქვა დასავლეთთან ერთად ემბარგოს დაწესებაზე, და პირიქით, რუსული საქონელი თურქეთისაკენ მოიზიდა. 2014 წლის დეკემბერში პრეზიდენტი პუტინი ანკარას ეწვია და შეხვედრისას ყურადღება გაამახვილა ორმხრივ ურთიერთობებში ენერგო საკითხების მნიშვნელობაზე, თურქეთს ბუნებრივ გაზზე ფასების შემცირებაც შესთავაზა (Balci, 2015). ამასთან, ვიზიტისას გააჟღერა ახალი გაზსადენის „თურქული ნაკადის“ მშენებლობის გეგმა, რომელსაც უნდა შეეცვალა სამხრეთის ნაკადის პროექტი. ხოლო, 2015 წელს დაიწყო ატომური სადგურის მშენებლობა აკუიუში. ზოგიერთი მკვლევარი, რუსეთ-თურქეთის ღერძის შექმნაზე მიუთითებდა, რამდენადაც თურქეთი არც დასავლურ სანქციებს შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ და ნაცვლად ამისა, განაგრძო თანამშრომლობა მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის კრიზისმა კიდევ ერთხელ აჩვენა რუსეთისა და თურქეთის განსხვავებული მიდგომები რეგიონში, ასევე მათ შორის არსებული წინააღმდეგობები. ამდენად, ორმხრივი ეკონომიკური

ურთიერთობები თურქეთსა და რუსეთს დაეხმარა დაეძლიათ უკრაინის საკითხზე წარმოშობილი უთანხმოება მინიმალური დანაკარგებით (Ozdal, 2015).

4.3 2015 წელს რუსული ბომბდამშენის ჩამოგდება და მისი შედეგები

2015 წლის 24 ნოემბერს თურქეთის საჰაერო ძალების F-16 გამანადგურებლის მიერ რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების სწრაფი მსხვრევა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლიდან ორმხრივი ურთიერთობები მნიშვნელოვნად განვითარდა, კრიზისი სწრაფად ესკალირდა. უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭომაც ვერ შეძლო შეეკავებინა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მსხვრევა (Ozertem, 2017, გვ. 122).

2010 წელს დაწყებულმა არაბულმა მოძრაობებმა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. რუსეთმა და თურქეთმა განსხვავებული პოზიციები დაიკავეს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ლიბიაში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მსოფლიოს ყურადღება სირიამ მიიპყრო. სირიის კრიზისმა თურქეთისა და რუსეთის დღის წესრიგში ცენტრალური ადგილი დაიკავა. რუსეთი და თურქეთი სირიის საკითხზე სხვადასხვა მხარეს იყვნენ. 2015 წელს რუსეთმა აქტიურად ჩართვა გადაწყვიტა, მანამდე პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადს არაპირდაპირ უჭერდა მხარს ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით, პოლიტიკურად - ინტერვენციის წინააღმდეგი იყო. თურქეთმა კი ჰუმანიტარული ვითარების გაუარესებასთან ერთად, ასადის რეჟიმის დადანაშაულება დაიწყო და მისი საწინააღმდეგო მხარე დაიჭირა (Ozertem, 2017, გვ. 122).

ბაშარ ალ ასადმა ძალების გამოყენებით შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება, თუმცა ქვეყნის ბევრ ნაწილზე კონტროლი დაკარგა. ამან კი არასახელმწიფოებრივი აქტორების გამოჩენას შეუწყო ხელი, ასადის რეჟიმი მათი ექსპანსიის შეჩერებას ვეღარ ახერხებდა. ამის გამო, რუსეთმა გადაწყვიტა კონფლიქტში ჩართულიყო და ხელი შეეწყო ასადის ძალაუფლების შენარჩუნებისათვის (Ozertem, 2017, გვ. 123).

როდესაც რუსეთმა მოახდინა ინტერვენცია, აშშ-ის ხელმძღვანელობით რუსეთმა დაიწყო ასადის საწინააღმდეგო ჯგუფების დაბომბვა თურქეთის საზღვართან ახლოს, სადაც თურქებიც ცხოვრობენ. ანკარის მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად, რუსეთის ბომბდამშენები თურქეთის საჰაერო სივრცესაც კი არღვევდნენ. რუსეთის ელჩი მიწვეულ იქნა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში დიპლომატიური კონსულტაციებისათვის. რუსეთის დელეგაცია სერგეი დრონოვის მეთაურობით ესტუმრა ანკარას განმარტებებისათვის, რაც თურქეთში აღქმულ იქნა, როგორც მნიშნელოვანი ნაბიჯი საჰაერო ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ შეხვედრა წარუმატებელი აღმოჩნდა და 2015 წლის ნოემბერში თურქეთის შეიარაღებულმა ძალებმა განაცხადეს თავიანთ ვებ-გვერდზე, რომ დაუდგენელი ავიაცია ჩამოაგდეს თურქულ საჰაერო სივრცეში. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ეს იყო რუსული Su-24. ცივი ომის შემდეგ პირველი შემთხვევა მოხდა, როდესაც ნატოს წევრმა სახელმწიფომ რუსული საჰაერო ხომალდი ჩამოაგდო (Ozertem, 2017, გვ. 124).

ამ ინციდენტს ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვა ორ ქვეყანას შორის. პრეზიდენტმა პუტინმა შემთხვევას „ზურგში დანის ჩაცემა“ უწოდა და განაცხადა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის კავშირებზე მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა. საპასუხოდ, რუსეთმა არ დააყოვნა ეკონომიკური სანქციების დაწესება თურქეთისათვის. პრეზიდენტმა ერდოღანმა ქმედებას „ემოციური“ და „შეუსაბამო“ უწოდა და განაცხადა: „ჩვენ ვურჩევთ რუსეთს ცეცხლს ნუ ეთამაშება.“ „დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ რუსეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობას და არ გვსურს ეს ურთიერთობები დაზარალდეს“ (Burrows, 2016). შემდეგ სიტყვიერი ომი ერთმანეთის დადანაშაულებაზეც გადავიდა, რომ თურქეთი ყიდულობდა ნავთობს ისლამისტური სახელმწიიფოს სამხედროებისაგან. პუტინის განცხადება: „ამ მომენტისათვის მივიღეთ დამატებითი ინფორმაცია, რომ ისლამისტური სახელმწიფოს სამხედროების მიერ კონტროლირებადი მარაგებიდან ნავთობი თურქეთის ტერიტორიაზე შედის ინდუსტრიული მასშტაბით“ (Burrows, 2016).

თურქეთის მხარე აცხადებდა, რომ დადგენილი წესების მიხედვით, სამართლიანად მოხდა საჰაერო ხომალდის ჩამოგდება, რამდენადაც მან დაარღვია თურქეთის საჰაერო

სივრცე. კრემლი უარყოფდა კანონდარღვევას, შემდეგში კი აცხადებდა, რომ ანკარას შეეძლო თვალი დაეხუჭა საჰაერო სივრცის 17-წამიან დარღვევაზე. თუმცა რუსეთთან ურთიერთობები ერდოღანისათვის მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ მალევე, ორ დღეში თურქეთმა უკან დაიხია თავდაპირველი პოზიციიდან და ერდოღანმა განაცხადა: „თურქეთის ხელისუფლებას რომ სცოდნოდა საჰაერო ხომალდი რუსეთის იყო, თურქეთი მას არ ჩამოაგდებდა“ (Ozertem, 2017, გვ. 124).

რუსული Su-24-ის ჩამოგდება გადამწყვეტი აღმოჩნდა რუსეთ-თურქეთს შორის ორმხრივ ურთიერთობაში. მოსკოვმა გააუქმა არსებული მექანიზმები ორ ქვეყანას შორის, მაგალითად, უმაღლესი დონის თანამშრომლობის საბჭო. ასევე, თურქეთს ჩაუკეტა სირიაში საჰაერო სივრცე და განახორციელა ოპერაციები სირიის ოპოზიციისა და თურქმენების წინააღმდეგ, რამაც ანკარის პოლიტიკური ბერკეტი შეასუსტა სირიაში და დაემუქრა თურქეთის უსაფრთხოებასაც.

თურქეთის მიერ სირიაში საჰაერო ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობის დაკარგვამ ორი უარყოფითი შედეგი მოიტანა მისთვის: 1. ერაყისა და ლევანტის ისლამისტურმა სახელმწიფომ დაიწყო სასაზღვრო ქალაქებში მცხოვრები მოქალაქეების მიზანში ამოღება. თურქეთის უუნარობამ გამოეყენებინა საჰაერო ძალები თავდასხმის წინააღმდეგ, ვერ შეძლო ეფექტურად აერიდებინა სამოქალაქო დანაკარგები. 2. ქურთების მშრომელთა პარტიამ უპირატესობა მოიპოვა სირიის ჩრდილოეთ ნაწილში და დასავლეთით, რამაც შეავსო ძალაუფლების ვაკუუმი თურქეთის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში (Ozertem, 2017).

პოლიტიკური შედეგების გარდა, ინციდენტმა ეკონომიკურ ურთიერთობაზეც იქონია გავლენა. კრემლმა ემბარგო დაუწესა თურქ ექსპორტიორებსა და რუსეთში მოღვაწე კონტრაქტორებს. ემბარგო განსაკუთრებით შეეხო სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტირების სექტორებს. ასევე, მოგვიანებით თურქეთმა აკრძალა ჩარტერული ფრენები ორ ქვეყანას შორის. უფრო მეტიც, რუსეთმა ცალმხრივად გააუქმა უვიზო მიმოსვლის რეჟიმი თურქეთთან (Factbox: Impact of Russian sanctions, 2016).

სანქციებმა დიდად დააზარალა ისეთი სფეროები, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტირება, ტურიზმი და მშენებლობა. სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ 2016 წელს რუსი ტურისტების რაოდენობა თურქეთში ძალიან შემცირდა. თუ 2014 და 2015 წლის იანვარ-ივლისის შუალედში 2.7 და 2.14 მილიონი ტურისტი ეწვია თურქეთს რუსეთიდან, 2016 წელს ამავე პერიოდში- მხოლოდ 231 ათასი, რაც 90%-იანი კლების მაჩვენებელია (Ozertem, 2017, გვ. 127). კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ენერგო თანამშრომლობაზეც. მართალია, რუსეთის მიერ პირველი ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა თურქეთში არ შეჩერდა, მაგრამ მოსალოდნელი ტემპით არ გაგრძელდა. გაზპრომმა 10.25%-იანი ფასდაკლება გაუუქმა თურქულ კერძო კომპანიებს ბუნებრივ გაზზე, რომელიც უნდა ამოქმედებულიყო 2016 წლის იანვარში (Ozertem, 2017).

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობა კარგად ჩანს კრიზისის პერიოდის განცხადებებიდან და რიტორიკიდან. თურქეთში ექსპერტები თუ მმართველი წრეები ძირითად აქცენტს ეკონომიკურ დანაკარგებზე და მათ შედეგებზე აკეთებდნენ. 2016 წლის იანვარში ვაშინგტონში ვიზიტისას თურქეთის პრემიერ მინისტრის მოადგილე მეჰმეთ შიმშეკმა განაცხადა, რომ თურქეთი რუსეთის მიერ დაწესებული სანქციები გამო დაკარგავდა 3.1 მილიარდი დოლარის ღირებულების ვაჭრობას 2016 წელს (Cindemir, 2016). „რუსეთი ჩვენი ხილისა და ბოსტნეულის 60%-ის ექსპორტს ახორციელებს. ჩვენ ეს ყველაფერი დავკარგეთ. რუსეთი დიდი ბაზარია ჩვენთვის.“- განაცხადა თურქული ხილისა და ბოსტნეულის გამყიდველთა ასოციაციის პრეზიდენტმა (Cindemir, 2016).

ბიზნეს ექსპერტების მიხედვით, რუსი ტურისტების დაკარგვა თურქეთს ყოველწლიურად 3 მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდება, რამდენადაც მხოლოდ 2014 წელს 4.5 მილიარდი რუსი ტურისტი სტუმრობდა თურქეთს. თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა ინტერვიუში, რომ თურქული საკვები პორდუქტების შეტანაზე აკრძალვის დაწესება რუსეთის მხრიდან, თურქეთისათვის 764 მილიონი დოლარის ფინანსურ დანაკარგს უდრიდა (Cindemir, 2016).

გარდა ამისა, თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული კრიზისისას, მოსკოვმა ახალი მილსადენის პროექტიც შეაჩერა, რომელსაც თურქულ ნაკადს უწოდებდნენ. თურქეთის ყოფილმა სავაჭრო წარმომადგენელმა მოსკოვში, აიდინ სეზერმაც განაცხადა, რომ რუსეთის მიერ დაწესებული სანქციები თურქეთს ყოველწლიურად 12 მილიარდ დოლარზე მეტს დააკარგვინებდა, ანუ 4-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე თურქეთის მთავრობა მიუთითებდა. თურქეთის უდიდესი საფინანსო ინსტიტუტები ბანკასში აცხადებდნენ, რომ ექსპორტი ვაჭრობასა და მშენებლობასთან ერთად დიდ დარტყმას მიიღებდა რუსეთის მიერ დაწესებული სანქციების გამო და უკეთეს შემთხვევაში თურქეთი 4.4 მილიარდი დოლარის ზარალს მიიღებდა, უარეს შემთხვევაში კი ეს რიცხვი 7.3 მილიარდს მიაღწევდა (Cindemir, 2016).

იმ უარყოფითი შედეგების გამო, რაც კრიზისმა თურქეთის ეკონომიკას მოუტანა, დაახლოებით შვიდი თვის შემდეგ თურქეთმა დაიწყო ურთიერთობების ნორმალიზებისაკენ ნაბიჯების გადადგმა. თავის მხრივ, პუტინიც დაინტერესებული იყო ურთიერთობების აღდგენით, აშშ-სთან სირიის საკითხზე დაძაბულობის გაზრდასთან ერთად, ვლადიმერ პუტინმა სტამბულში შეხვედრაზე თურქეთთან შერიგების პროცესი დააჩქარა და ბუნებრივი აირის მილსადენის პროექტის აღდგენაზეც შეთანხმდნენ.

ახალი მილსადენი, რომელსაც თურქულ ნაკადს უწოდებენ, გაივლის შავის ზღვის ქვეშ თურქეთისაკენ და შემდეგ საბერძნეთის საზღვრისაკენ, რაც რუსეთს აძლევს საშუალებას დასვალურ ბაზარს მიაღწიოს არსებული აღმოსავლეთ ევროპის მილსადელების გვერდის ავლით. შესაბამისად, რუსეთისათვის უფრო მარტივი იქნება მეზობელ ქვეყნებს, როგორიც უკრაინაა, შეუწყვიტოს გაზის მიწოდება ისე, რომ ხელი არ შეეშალოს მიწოდებას უფრო დასავლეთით იტალიისა და ავსტრიის ბაზარზე (Burrows, 2016).

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების დათბობაზე გავლენა იქონია იმ ფაქტმაც, რომ პუტინმა მხარი დაუჭირა თურქეთის მთავრობას 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო

რუსეთის მხრიდან, რამდენადაც ანკარაში მიიჩნევდნენ, რომ დასავლეთმა სათანადოდ არ უპასუხა გადატრიალების მცდელობას და მხარი არ დაუჭირა დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას. ამის შემდეგ ორი ქვეყნის ლიდერები შეთანხმდნენ პეტერბურგში შეხვედრაზე 2016 წლის 9 აგვისტოს (Ozertem, 2017, გვ. 128).

მხარეებმა ისაუბრეს სავაჭრო, ენერგეტიკული, ეკონომიკური და სამხედრო კავშირების აღდგენაზე, ასევე სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში ქვეყნების სამხედრო მოქმედებებზე. შეხვედრის შემდეგ, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის ყოველწლიური ორმხრივი ვაჭრობა 100 მილიარდ დოლარს მიაღწევდა და მათ შორის ჩარტერული ფრენების აღდგენაც დაჩქარდებოდა. პუტინი კი მიუთითებდ, რომ ანკარაცა და მოსკოვიც საერთო მიზანს იზიარებდნენ სირიაში კრიზისის დასრულებასთან დაკავშირებით, რაც მათ საშუალებას მისცემდა განსხვავებები გადაელახათ (Turkey and Russia’s relationship status?, 2016).

აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზებაზე გავლენა იქონია ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და ენერგო დინამიკის ცვლილებამ, განსაკუთრებით, ორმხრივ სასარგებლო დიდი პროექტების აღდგენამ, როგორიცაა თურქული ნაკადი, რამდენადაც თურქეთი გაზპრომის სიდიდით მეორე მომხმარებელია გერმანიის შემდეგ 2015 წლიდან (Turkey and Russia’s relationship status?, 2016).

5. თურქეთ - რუსეთის ურთიერთობები, როგორც კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითი

თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების განვითარების ისტორიული მიმოხილვის, მათი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აღწერისა და ბოლო პერიოდში წარმოშობილი ძირითადი დაპირისპირებების განხილვის შემდეგ, ნაშრომში წარმოდგენილ ცვლადებს შორის კავშირის შესამოწმებლად, მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობების განხილვა ზემოთ აღწერილი კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის ჭრილში.

როგორც ალექსანდრე რონდელი (2006) წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობები“ განმარტავს, დამოკიდებულება ნიშნავს, რომ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე გარეშე ძალები დიდ გავლენას ახდენენ. ურთიერთდამოკიდებულება კი, მისი აზრით, არის ვითარება, როდესაც ეს დამოკიდებულება ორმხრივია და სახელმწიფოები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას და ასეთ პირობებში მათი სუვერენიტეტი შეზღუდულია (გვ. 178). რუსეთისა და თურქეთის შემთხვევაში აშკარაა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რამდენადაც მათ შორის არსებობს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები და ისინი გავლენას ახდენენ სხვა სფეროებზეც.

ენერგო რესურსების ტრანსპორტირება, ეკონომიკური ურთიერთობების ხვა ასპექტებთან, კერძოდ, ვაჭრობასთან, თურქული კომპანიების მიერ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე განხორციელებულ სამშენებლო აქტივობებთან და ტურიზმის სექტორში რუსეთის მნიშვნელობასთან ერთად, ანკარასა და მოსკოვს შორის არსებული თანამშრომლობის საფუძველია. ეკონომიკურმა და სოციალურმა ურთიერთობებმა არა მხოლოდ შეცვალა ორი ქვეყნის დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ, არამედ, შექმნა ურთიერთდამოკიდებულება (Gurtuna, 2006, გვ. 11).

გარდა ამისა, ჯოზეფ ნაი და რობერტ კიოჰენი 1977 წელს გამოცემულ ნაშრომში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება“ მიუთითებდნენ, რომ ურთიერთდამოკიდებულება არ ნიშნავს იმას, რომ მხარეები აუცილებლად თანაბრად დამოკიდებულნი არიან, ხშირ

შემთხვევაში ერთი უფრო მეტადაა დამოკიდებული მეორეზე (Rana, 2015). ნაშრომში განხილული თურქეთისა და რუსეთის ქეისის შემთხვევაშიც შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად, ურთიერთობების ორმხრივი სარგებელისა ქვეყნებისათვის, ორივე სახელმწიფო ერთნაირად დამოკიდებული არ არის, რაც ჩანს კიდეც რუსეთსა და თურქეთს შორის ექსპორტ - იმპორტს შორის სხვაობიდან (დანართი 3). თურქეთი მჭიდროდ არის რუსეთზე დამოკიდებული ენერგო სფეროში, თუმცა რუსეთისთვისაც, თავის მხრივ, თურქეთი მნიშვნელოვანია, როგორც სატრანსპორტო გზა ენერგო რესურსების დასავლური ბაზრებისათვის მისაწოდებლად (Gurtuna, 2006, გვ. 11).

თურქული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის 60% რუსეთის ბაზარზე მოდის, 2015 წელს თურქული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში 4 მილიარდ დოლარს აღწევდა ოფიციალური მონაცემებით, ხილი, ბოსტნეული, ტექსტილი და საავტომობილო მრეწველობა იკავებდა წამყვან ადგილს. რუსეთიდან იმპორტი კი 25 მილიარდ დოლარზე მეტის ღირებულების იყო 2014 წელს და 2015 წელს- 21 მილიარდზე ოდნავ მეტი. ნავთობი და გაზი- 16 მილიარდი 2014 წელს და 13 მილიარდი- 2015 წელს (Cindemir, 2016). ამასთან, ტურიზმის სფეროში რუსეთიდან წამოსული ვიზიტორების რაოდენობა თურქეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. შესაბამისად, სახეზეა თურქეთსა და რუსეთს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირები და შესაძლებელია, მათი განხილვა ნაისა და კიოჰენის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ფარაგლებში.

ნაისა და კიოჰანის აზრით, სამხედრო ძალის როლის შემცირება და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდის საშუალებას იძლევა. ისინი მიუთითებენ, რომ, მართალია, სამხედრო ძალა აღარ არის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი, თუმცა გარკვეული ტიპის ურთიერთობებში სამხედრო ძლიერება კვლავ მნიშვნელოვანია. კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში კონფლიქტებმა შესაძლოა სხვა ფორმა მიიღოს და ახალი გამომწვევი მიზეზებიც გაჩნდეს, მაგრამ, მკვლევართა აზრით, მაღალი დონის ურთიერთდამოკიდებულება სადავო საკითხების გადაჭრის მშვიდობიანი გზების გამონახვას უწყობს ხელს (რონდელი, 2006, გვ. 180).

წინამდებარე კვლევაში განხილული რუსეთისა და თურქეთის ეკონომიკური დამოკიდებულებაც ხელს უწყობს მათ შორის უთანხმოების გამომწვევი მიზეზების მშვიდობიანად გადალახვას და თანამშრომლობას პოლიტიკურ სფეროში. როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის მაგალითიდანაც ჩანს, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული ინტერვენცია თურქეთის ინტერესების საწინააღმდეგო იყო, რამდენადაც საქართველო ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა თურქეთის სტრატეგიული ინტერესებისათვის სამხრეთ კავკასიაში და თურქეთი რეგიონში „გეოპოლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებას“ ცდილობს. 2008 წელი ის პერიოდია, როდესაც რუსეთსა და თურქეთს შორის ვაჭრობა ყველაზე მაღალი მოცულობის იყო წინა წლებთან შედარებით და 35 მილიარდ დოლარს აღწევდა, შესაბამისად, ასეთ პირობებში ურთიერთობების გაფუჭება სერიოზულ დანაკარგებს უკავშირდებოდა. ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური დაძაბულობის თავიდან არიდება მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია და საქართველოსთანაც ახლო ურთიერთობები ჰქონდა, აქტიური მხარდაჭერა არ გამოხატა მეზობელი ქვეყნის მიმართ.

ანალოგიურად, 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიაც თურქეთის ინტერესების საწინააღმდეგო იყო, რამდენადაც ყირიმელ თათრებთან თურქეთს დიდხნიანი სიახლოვე აკავშირებდა და უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერდა მხარს, მაგრამ თურქეთმა მაინც არ დაიჭრა მკაცრი პოზიცია რუსეთის მიმართ, მან უარი თქვა დასავლეთთან ერთად ემბარგოს დაწესებაზეც (Balci, 2015). ამ პერიოდშიც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოცულობა მაღალი იყო და 34 მილიარდ დოლარს აღწევდა. ასევე, ენერგო საკითხებით დაინტერესებაც მაღალი იყო, 2014 წლის პუტინის ვიზიტისას გააჟღერა ახალი გაზსადენის „თურქული ნაკადის“ მშენებლობის გეგმა, ხოლო, 2015 წელს დაიწყო ატომური სადგურის მშენებლობა აკუიუში.

რაც შეეხება სირიის საკითხს, განსაკუთრებული კრიზისი თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში რუსული ბომბდამშენის ჩამოგდებამ გამოიწვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ურთიერთობები მალევე დარეგულირდა სანქციების დაწესების შემდეგ. რუსეთის მიერ დაწესებული სანქციები თურქეთისათვის დიდ დანაკარგებთან იყო დაკავშრებული, თუმცა რუსეთიც თავის მხრივ დაინტერესებული იყო

ურთიერთობების აღდგენით, რაზეც მიუთითებდა პრეზიდენტ ერდოღანის მხარდაჭერა თურქეთში განხორციელებული გადატრიალების მცდელობის შემდეგ. ქვეყნის ლიდერები შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს და ერდოღანმა განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის ყოველწლიური ორმხრივი ვაჭრობა 100 მილიარდ დოლარს მიაღწევდა. პუტინი კი მიუთითებდ, რომ ანკარაცა და მოსკოვიც საერთო მიზანს იზიარებდნენ სირიაში კრიზისის დასრულებასთან დაკავშირებით, რაც მათ საშუალებას მისცემდა განსხვავებები გადაელახათ (Turkey and Russia's relationship status?, 2016).

რუსეთსა და თურქეთს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებში იკვეთება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის კიდევ ერთი პრინციპი. კერძოდ, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით, ნაკლებად დამოკიდებულ ქვეყანას შეუძლია საკუთარი პოზიციის გამოყენება სხვებზე გავლენის მოსახდენად. მოსკოვის მხრიდან ჩანს ანკარაზე გავლენა, როდესაც ეკონომიკური დანაკარგების მაღალი ღირებულების გამო, თურქეთი ზემოაღნიშნულ შემთხვევებში არ უპირისპირდება აქტიურად, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თურქეთი უფრო მოწყვლადია რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობებში.

აქედან გამომდინარე, განხილული ქეისებიდან ჩანს, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოშობილი უთანხმოებების გადალახვას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ძალიან ახლო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. ყველა შემთხვევაში დაპირისპირებამ კონფლიქტის სახე არ მიიღო და თანამშრომლობა უფრო მისაღები აღმოჩნდა, რაზეც მიუთითებს კიდეც, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, რომელიც კომპლექსურად ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობაზე მიუთითებს.

6. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილული იყო თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობები 2008-2016 წლების პერიოდში, მათ შორის არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობებისა და უთანხმოების მიუხედავად, თანამშრომლობის ხელისშემწყობი ფაქტორები. აქედან გამომდინარე, ნაშრომში დასმული იყო საკვლევი კითხვა, თუ რამ განაპირობა 2008- 2016 წლებში მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გადალახვა და თურქეთის მიერ რუსეთთან ურთიერთობების განახლება? ნაშრომში ჰიპოთეზად წარმოდგენილი იყო, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ხელს უწყობს მათ შორის არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობების გადალახვას.

ნაშრომი ცდილობს 2008 წლის რუსეთ- საქართველოს ომით გამოწვეული უთანხმოების, 2014 წლის რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და სირიის საკითხის გამო თურქეთსა და რუსეთს შორის გამოწვეული კრიზისების განხილვით აჩვენოს, რომ აღნიშნულ შემთხვევებში ქვეყნებს შორის უთანხმოებები დარეგულირდა და პოლიტიკური წინააღმდეგობები გადაილახა, სწორედ, ანკარასა და მოსკოვს შორის არსებული მძლავრი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გამო.

ნაშრომში წარმოდგენილი არგუმენტები და ქვეყნებს შორის ურთიერთობების განვითარების დინამიკა აჩვენებს, რომ საკვლევ პერიოდში ქვეყნებს შორის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ სხვადასხვა პროდუქციით ვაჭრობას, არამედ, ენერგიის სფეროსა და ტურიზმსაც. განხილული ქეისები აჩვენებს, რომ სამივე შემთხვევში ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული და საფრთხეს უქმნიდა ქვეყნების ინტერესებს. 2008 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ვაჭრობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და ბევრად აღემატებოდა წინა წლების მაჩვენებლებს (35 მილიარდი დოლარი). ამის შემდეგ, კიდევ უფრო დაახლოვდნენ ეკონომიკურ სფეროში და 2014 წელსაც ახალ პროექტებზე შეთანხმდნენ, რომელიც ორმხრივ სასარგებლო იყო, კერძოდ, ხოლო, 2015 წელს დაიწყო ატომური სადგურის მშენებლობა აკუიუში. ბომბდამშენის ჩამოგდების შემდეგ, ურთიერთობების გამწვავების გამო სანქციების დაწესებით მიღებული

დანაკარგებიც იმდენად მაღალი აღმოჩნდა, რომ ურთიერთობების ნორმალიზება მალევე მოხდა და სირიის საკითხზე თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზის შესამოწმებლად გამოყენებული იყო რობერტ კიოჰანისა და ჯოზეფ ნაის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, რომელიც 1977 წელს განავითარეს. თეორია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდილ აუცილებლობას და მიიჩნევს, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდის საშუალებასაც იძლევა. თეორიის აღნიშნული პრინციპები ხსნის რუსეთსა და თურქეთს შორის მიმდინარე პროცესებსაც, რამდენადაც 2008 – 2016 წლების პერიოდში განხილული ქეისების შემთხვევაში სახეზე იყო სახელმწიფოთა შორის უთანხმოება, რომელიც გადალახვასაც ხელი შეუწყო მჭიდრო ეკონომიკურმა კავშირებმა.

შესაბამისად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა, წვლილი შეიტანოს კვლევაში, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკური კავშირები სახელმწიფოთა პოლიტიკურ ურთიერთობებზე და რამდენად უწყობს ხელს მათ შორის კონფლიქტების დაძლევას. ასევე ნაშრომის მიზანია რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობების შესწავლა, რამდენადაც ორივე სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი აქტორია. გარდა ამისა, განხილული ქეისების დაკავშირებით კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიასთან, ნაშრომი ცდილობს სიახლე შეიტანოს მის განვითარებაში, რამდენადაც ცნობილ თეორიას არგებს ახალ რეალობას.

7. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ზურაბიშვილი თ. 2006. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა სერია.

კიოჰეინი რ. და ჯოზეფ ნ. „ურთიერთდამოკიდებულება მსოფლიო პოლიტიკაში." საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. ქრესტომათია. 324- 356. სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი. 2004.

რონდელი ა. (2006) საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე განახლებული გამოცემა.

Akturk S. (2016). The Crisis in Russian – Turkish Relations, 2008 – 2015. No. 179.

Akturk S. (2013). Turkish – Russian Relations, 2002-2012: From the Peak to the Dip? Center for Politics & International Relations Studies.

Arafat M. and Alnuaimy O. M. (2011). The Turkish – Russian Relations in the Era of AKP. Journal of Economics & Administrative Sciences. Vol. 13. Pp. 103 – 133.

Baldwin D. A. (1980) Interdependennce and Power: a conceptual analysis.

Bugriy M. (2014, Deceber 15). Issues in Russia- Turkey Relations after Crimea. Retrived from https://jamestown.org/program/issues-in-russia-turkey-relations-after-crimea/

Cindemir K. (2016, January 15). Turkey's economy sees fallout from terrorism, Russian Sanctions. Retrived from https://www.voanews.com/a/turkey-economy-terrorism-russian-sanctions/3147900.html

Economic Relations [Def. 1]. (n.d.) QFinance Online. Retrived June 20, 2017, from http://www.financepractitioner.com/search?searchFilter=all&q=economic+relations.

Economic Relations [Def. 2]. (n.d.) DC DictionaryCentral.com. Retrived June 20, 2017, from http://www.dictionarycentral.com/.

Factbox: Impact of Russian sanctions on trade ties with Turkey. (2016, June 27). Retrived from http://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-russia-turkey-ties-fac-idUSKCN0ZD27M

Gillen J and Petersen A. 2005. Discourse Analysis. *Research Methods in the Social Sciences.* London.

Gurtuna A. (2006) Turkish – Russian Relations in the Post Soviet Era: Conflict to Cooperation?

Ikinci S. & Schwarz P. (2008, September 9). The "Strats Question" Retrived from https://www.wsws.org/en/articles/2008/09/turk-s09.html

Keohane R. O & Nye J. S. (1989) Power and interdependence: world politics in transition. Third edition. Pp. 3 – 32. Retrived from http://www.olivialau.org/ir/archive/keo5.pdf.

Keohane R. O. & Nye J. S (1977). Power and interdependence: world politics in transition.

Kuhn S., Mosler D. and Richter K. (2010). Energy Cooperation in the Caucasus: Continuity and Change in Russian – Turkish Relations. Malmo University Electronic Publishing.

Lennox V. Discourse and Content Analysis. Research Methods Practice Essay.

Markenderov S. & Ulchenko N. (2011, August 19). Turkey and Russia: An evolving relationship. Retrived from http://carnegieendowment.org/2011/08/19/turkey-and-russia-evolving-relationship-pub-45383.

Magen Z & Lindenstrauss. (2013). Russian- Turkish Relations: Contemporary Dilemmas of Past Empires. Strategic Assessment. Vol. 16, No. 2.

Mikail E. H. (2013). Turkish Russian Political and Economical Relations. International Journal of Bussiness and Social Science. Vol. 4, No. 10.

Odell J. S. (2001). Case Study Methods in International Political Economy. International Studies Perspectives. 2. 161- 176.

Onis Z. & Yilmaz S. (2015). Turkey and Russia in a shifting global order: cooperation, conflict and asymmetric interdependence in a turbulent region. The World Quarterly.

Ozertem H. S. (2017). Turkey and Russia: A fragile Friendship. Turkish Policy Quartely. Vol. 15, No. 4. Pp. 121 – 134.

Ozel S. (2016, May 10). The crisis in Turkish – Russian Relations. Retrived from https://www.americanprogress.org/issues/security/reports/2016/05/10/137131/the-crisis-in-turkish-russian-relations/

Ozdal H. (2015, March 11). The influence of the Ukraine crisis on Russian – Turkish relations. Retrived from http://www.europeanleadershipnetwork.org/the-influence-of-the-ukraine-crisis-on-turkish-russian-relations_2523.html

Rana W. (2015). Theory of Complex Interdependence: A Comparative Analysis of Realist and Neoliberal Thoughts. International Journal of Business and Social Science. Vol. 6, No. 2.

Ripsmen N. M. (2006). False Dicotomies: Why Economics is High Politics.

Rorbakov I. (2008). The Georgia Crisis and Russia – Turkey Relations.

Russia and Turkey: Moving Closer. (2009). Economic and Political Weekly. Vol. 44, No. 19. P. 7.

Syria, Russia and Turkey – the uneasy alliance reshaping world politics. Retrived from http://theconversation.com/syria-russia-and-turkey-the-uneasy-alliance-reshaping-world-politics-71079

Tait R. (2008, September 1). Trade war looms between Moscow and Ankara. Retrived from https://www.theguardian.com/world/2008/sep/01/russia.turkey

Turkey and Russia's relationship status? It's complicated (2016, August 9). Retrived from http://www.cnbc.com/2016/08/09/turkey-and-russias-relationship-status-its-complicated.html

დანართი 1

რუსეთსა და თურქეთს შორის სავაჭრო მოცულობა 2004 – 2014 წლების პერიოდში



წყარო: ცხრილი ციტირებულია (Onis & Yilmaz, 2015, გვ. 8).

დანართი 2

რუსი ტურისტების რაოდენობა თურქეთში 2008 – 2015 წლებში



წყარო: ცხრილი ციტირებულია (Sonmez, 2016).

დანართი 3

თურქეთსა და რუსეთს შორის არსებული ექსპორტ - იმპორტი



წყარო: ცხრილი ციტირებულია (Onis & Yilmaz, 2015, გვ. 8).

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Teona Gasviani

Turkish – Russian Bilateral Relations: Cooperation in the Environment of Contradictions

Diplomacy and International Politics

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree of Master of Diplomacy and International Politics

Supervisor: Eka Akobia

Associated Professor

Doctor of International Relations

Tbilisi, 2017